ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 14 დეკემბერი, 2015 №293 (6913) ფასი: 50 თეთრი

## ელისაშვილი: „ყეყეჩი მეჭიაური ძალიან ძვირი გვიჯდება“

გვ.2

მეჭიაური: „ელისაშვილის ტყუილებს მისი ცხვირის ზომა ადასტურებს“





# „ნაციონალები მალე ერთმანეთს დაჭამენ“

გვ.3



ომარ ნიშნიანიძე: „ნაციონალებმა ისეთი ორგია მოაწყვეს, სარკოზიც კი გადარიეს“



„მაგათ წინააღმდეგ არგუმენტები როგორ უნდა შემოგველიოს. უბრალოდ, ისე ცუდად აქვთ შუბლზე ძარღვი გაწყვეტილი, რომ მოთმინებას გვაკარგვინებენ. ერთხელაც აიჭრები კაცი და მოსდებ კეფაში“



გვ.2

## გიორგი კვრივიშვილი: „ჩვენი არჩევანი დასავლური ღირებულებებია“



„ლეონიდ ჩერნოვეცკი ბედნიერ საქართველოს შექმნის“





გვ.5

## აფხაზური ეკლესია განდგომილებს შერიგებას სთავაზობს

ISSN 1987-9385

## რუსეთის გემმა თურქულ სეინერს ესროლა

ინციდენტი ეგეოსის ზღვაში

გვ.8



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გიორგი ქვრივიშვილი: „ჩვენი არჩევანი დასავლური ღირებულებებია“

## „ლეონიდ ჩერნოვეცკი ბედნიერ საქართველოს შექმნის“



## „ის თავს საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქედ მიიჩნევს“



ცოტა ხნის ქართულ პოლიტიკურ სივრცეს კიდევ ერთი მოთამაშე შეემატა. უკრაინელი მილიარდერმა, კიევის ყოფილმა მერმა ლეონიდ ჩერნოვეცკიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ თავისი ბიზნესი სამართავად შვილს გადასცა და მზად არის პოლიტიკაში მოსასვლელად.

მან დააარსა პოლიტიკური პარტია „ბედნიერი საქართველოსთვის“, დაპირებები უხვად ჩამოთვალა და ხმამაღლა, მოურიდებლად განაცხადა, რომ მზად არის დეპუტატობისთვის.

ამან, ბუნებრივია, საზოგადოების გაკვირვება გამოიწვია და სოციალურ ქსელში კომენტარებმაც არ დააყოვნა – თითქმის ყველა ერთსა და იმავეს წერდა, ესლა გვაკლდაო.

საით არის მისი პოლიტიკური მზერა ან ვინ იქნებიან ლეონიდ ჩერნოვეცკის გუნდში? ამის შესახებ „ახალი თაობა“ მისი ფონდის პრეზიდენტთან და აწ უკვე საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ გიორგი ქვრივიშვილთან გთავაზობთ ინტერვიუს.

***– ბატონო გიორგი, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მოულოდნელად გამოჩნდით და თან უცნაური სახელით. რატომ დაარქვით პარტიას „ბედნიერი საქართველოსთვის“?***

– არ ვფიქრობთ, რომ ჩვენი პარტიის სახელწოდება უცნაურია. ყველა ადამიანი ბედნიერებისკენ მიისწრაფვის.

ჩვენს რეალობაში პოლიტიკოსისთვის კი ბედნიერება ისაა, რომ შენს მოქალაქეებს შენი სწორი მართვის პირობებში არ შიათ, არ სცივათ, ქუჩაში არ მათხოვრობენ ბავშვები და დადიან სკოლაში, მოხუცები არიან მზრუნველობის ქვეშ, აქვთ წამლის ფული და არ აქვთ უამრავი სოციალური პრობლემა, რომლებიც დღეს ჩვენს ყოველ მეორე მოქალაქეს აწუხებს.

ზუსტად ის არის ბედნიერება, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეებმა ვიცხოვროთ ისეთ საქართველოში, სადაც ეს ელემენტარული პრობლემები მაინც მოგვარებული იქნება.

ამავე დროს, ბედნიერი საქართველო არის გამართული, მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყანა სადაც ჩამოვლენ ინვესტორები და წამოიწყებენ ბიზნესს, სადაც ამისთვის ყველა პირობა იქნება შექმნილი.

***– ყველა ამომრჩეველი ხომ ვერ იქნება ბედნიერი?***

– ბუნებრივია, ჩვენ ამის ილუზია არ გვაქვს, მაგრამ, უნდა ვეცადოთ, რომ მოსახლეობას ჰქონდეს მინიმალური პრობლემები, თუმცა გეთანხმებით, ამ განახლებულ საქართველოში არ იქნებიან ბედნიერები ფარმაცევტული ბიზნესის მონოპოლისტები, რომლებიც პენსიონერების ხარჯზე გამდიდრდნენ, არ იქნებიან ბედნიერები კაზინოების მეპატრონეები, ვინც კიდევ უფრო ღატაკი მოსახლეობა არნახულ ვალებში ჩააგდეს, არ იქნებიან ბედნიერები ონლაინ კრედიტების კომპანიების მფლობელები, ვისაც მარწუხებში მოვაქცევთ და არ მივცემთ საშუალებას, მოსახლეობას სესხი 200 და 300 პროცენტად მისცენ და ამით დაუმთავრებელ საკრედიტო პრობლემებში შეიტყუონ.

აი, ეს ხალხი ნამდვილად ვერ იქნება ჩვენს საქართველოში ბედნიერი.

***– ვინ ურჩია თქვენს ლიდერს, ლეონიდ ჩერნოვეცკის, რომ საქართველოში ეყარა კენჭი?***

– იდეა თავად ბატონ ლეონიდს ეკუთვნის და, გამომდინარე მისი პერსონიდან, ეს სხვანაირადაც ვერ იქნებოდა, რადგან თავს თვლის საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქედ. ჰქონდა ბინადრობის უფლება, შემდეგ მიიღო მუდმივი ბინადრობა, ახლა უკვე საქართველოს მოქალაქეა და, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ პოლიტიკური ელიტის უდიდეს ნაწილზე მეტად იცის საქართველოს პრობლემები.

***– საქართველოს ამომრჩეველი საკმაოდ პოლიტიზებულია, ამიტომ მისთვის უცნაურია, რომ კიევის ყოფილი მერი, რომელმაც ქართული არ იცის, უცბად მათ პრობლემებზე ალაპარაკდეს და თან უნდა დააჯეროს, რომ მათ მოაგვარებს.***

– მთავარია, რომ ამომრჩეველი დაარწმუნო, სწორად აუხსნა, რის გაკეთებას აპირებ. მთავარი გულწრფელობაა, რომელსაც აუცილებლად დაგიფასებს ამომრჩეველი. ჩვენ ამომრჩეველს არასდროს მოვატყუებთ, სხვა შემთხვევაში არ მივიღებდით ამ გადაწყვეტილებას.

***– საქართველოს ჰყავდა მილიარდერი მმართველი, რომელმაც უხვად გასცა დაპირებები და არავინ შეიტანა მის გულწრფელობაში ეჭვი, მაგრამ რეალობა სხვა აღმოჩნდა. 220 ლარამდე გაზრდის ნაცვლად პენსია მხოლოდ 30 ლარით გაიზარდა. თქვენ უცბად განაცხადეთ, რომ პენსიას 400-500 ლარამდე გაზრდით, თან არ იცნობთ საქართველოს ბიუჯეტს. რატომ დაგიჯერებთ ამომრჩეველი?***

– ბიძინა ივანიშვილზე მე ცუდს ვერაფერს ვიტყვი. ჩემი აზრით, მან საქართველოს ისტორიაში თავისი სიტყვა თქვა, 2012 წლის ხელისუფლების ცვლილება იყო აუცილებელი მოვლენა ჩვენს უახლეს ისტორიაში, რასაც ყველა ადეკვატურად მოაზროვნე ადამიანი უნდა ეთანხმებოდეს, თუმცა ახლა საჭიროა პროგრესი და განვითარება.

რეალობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ მას და მის გუნდს უფრო მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში მოუწიათ საარჩევნო კამპანიის წარმართვა. მათ კარგად იციან, რა არის წინასაარჩევნო პერიოდში უსაფუძვლო ბრალდებები და უაზროდ შექმნილი წინააღმდეგობები. ვფიქრობ, ეს იქნება გარანტი, რომ 2016 წლის არჩევნებში ყველა პოლიტიკურ ძალას მიეცემა საშუალება, თავისი სათქმელი მიიტანოს ამომრჩევლამდე და ვისურვებდი და მაქვს იმედი, რომ მომავალი არჩევნები ჩაივლის დარღვევების და ოპოზიციის მიმართ აგრესიის გარეშე.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, შემიძლია ამ ეტაპზე მარტივად გიპასუხოთ – თუ სწორად გადანაწილდება ბიუჯეტი, პოლიტიკური ნება და სწორი ორიენტირი თუ იქნება, პენსიების გაზრდა სავსებით შესაძლებელია. შევხედოთ, რამდენი არაფრის მაქნისი ხარჯი აქვს ბიუჯეტს. დეპუტატების პენსიები, უამრავი ფონდი, რომლებიც კონტროლს უნდა დაექვემდებაროს და პირველ რიგში უნდა გავაკეთოთ არსებული ბიუჯეტის სახსრების სწორი ხარჯვა.

რაც მთავარია, უნდა დავიწყოთ ეკონომიკის სტიმულირება, სწორი კანონების მიღება, რომ დასაქმდეს რაც შეიძლება მეტი ადამიანი, რომ ჩვენ გავხდეთ საინტერესო და უსაფრთხო ქვეყანა ინვესტიციებისთვის, რომ მოხდეს ინვესტიციების მოდინება, რაც გამოიწვევს სამუშაო ადგილების შექმნას, რაც ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება.

როგორც კი ჩვენი ეკონომიკა წამოიწევა, ჩვენ უკვე საინტერესო გავხდებით აფხაზებისა და ოსებისთვის და მათ ჩვენთან ერთად ცხოვრების მეტი სტიმული მიეცემათ.

ანუ მინდა ვთქვა, რომ ეს ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხებია. დაპირებები რეალურია მთავარია სწორი მართვა, სწორი კანონების მიღება, რომ დავეხმაროთ ბიზნესს და შემდეგ – მიღებული შემოსავლების სწორად ხარჯვა.

***– ერთ-ერთ გადაცემაში უკრაინელმა ექსპერტმა განაცხადა, რომ ლეონიდ ჩერნოვეცკიმ კარგად იცის ამომრჩევლის მოსყიდვის ტექნოლოგიები. ვინ იქნება თქვენი ამომრჩეველი? ერთი შეხედვით, თქვენი დაპირების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გადაბირებას ცდილობთ.***

– ვფიქრობ, სიტყვა მოსყიდვა ზოგადად საქართველოს მოსახლეობისთვის არის შეურაცხმყოფელი და ვინც ამას ამბობს, ის შეურაცხყოფას აყენებს როგორც უკრაინელ, ასევე ქართველ ამომრჩეველს. მათ მოსასყიდი არაფერი სჭირთ, ხალხი შიმშილობს და მათ შველა სჭირდება, არა ოდესღაც უახლოეს მომავალში, არამედ დაუყოვნებლივ და ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ.

ჩვენ გვეყოლება ყველა ტიპის ამომრჩეველი – ის, ვისაც უნდა, რომ ბიზნესი წამოიწყოს და განავითაროს, ის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია პატრიოტული დეტალები, ის, ვისაც უნდა, რომ იცხოვროს ადამიანურ პირობებში და არ ჰქონდეს ყოველდღიური საკვების და სხვა ელემენტარული ცხოვრების პირობების პრობლემა.

ჩვენი პროგრამა მარტო ერთი კონკრეტული სეგმენტისთვის არ იქნება საინტერესო.

***– საარჩევნოდ იქნება ბრალდებები, ხართ ამისთვის მზად? სოციალურ ქსელში უკვე გაჩნდა კომენტარები, რომ ეს ვიღაა, ან ესღა აკლდა საქართველოს და ა.შ.***

– სიტყვის თავისუფლების ფასი ვიცით, ყველას აქვს აზრის გამოხატვის უფლება. მხოლოდ ერთს ვიტყვი და ამაში ალბათ უნდა დამერწმუნოთ – ლეონიდ ჩერნოვეცკი საქართველოს პარლამენტში ფულის საკეთებლად არ მოვა, მას ეს არაფერში სჭირდება, ის მოუტანს პროგრესსა და განვითარებას ქვეყანას. სხვა განზრახვა მას არ აქვს და ამაში დამერწმუნეთ.

***– ვინ იქნებიან თქვენს სიაში?***

– პარტიის პრეზენტაციამდე თავს შევიკავებ კონკრეტული გვარების დასახელებისგან, რადგან ფორმირება მიმდინარეობს.

არის რამდენიმე საინტერესო ფიგურა, ვისთანაც უახლოეს პერიოდში დავიწყებთ ურთიერთობას. მალე გვექნება პარტიის პრეზენტაცია, ჩვენს სიაში ვერ მოხვდებიან მწამებლები და პოლიტიკური ტურისტები, რომლებიც ხელისუფლების ცვლასთან ერთად იცვლიან პარტიებს, ასევე ვერ მოხვდება ის ხალხი, ვინც პენსიონერების წამლების გაძვირების ხარჯზე გამდიდრდა და შექმნა უდიდესი ფინანსური იმპერიები, ეს არის ბოროტების და არაადამიანობის კომპანიები, რომლებიც 200 და 300-პროცენტიან მოგებაზე მუშაობდნენ და ზოგი ახლაც მუშაობს. მათი ადგილს მე არა მარტო პარტიაში, საქართველოშიც კი ვერ ვხედავ.

***– ყველა მაჟორიტარულ ოლქში გეყოლებათ კანდიდატი?***

– თბილისის ყველა ოლქში გვეყოლება ჩვენი კანდიდატი. შევეცდებით, რომ საქართველოს ყველა ოლქში გვყავდეს, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი, რომ ყველა ოლქში გვყავდეს, მთავარია, რომ გვყავდეს სწორი ადამიანები ამ პოზიციებზე, ვისაც ხალხის ნდობა აქვს ან მოიპოვებს და არჩევის შემდეგ ამ ნდობას არ გაანიავებს, დაიწყებს დაპირებების ასრულებას.

აი, ეს არის მთავარი – ხარისხი და არა რაოდენობა.

***– რა ნიშნით არჩევთ პარტიის წევრებს?***

– მთავარი პროფესიონალიზმი და პატრიოტიზმია. თუ ადამიანს არ უყვარს და არ სტკივა ქვეყანა, ის მას კარგს ვერაფერს გაუკეთებს.

***– პატრიოტიზმი გრძნობაა, რომელიც არ იწონება, არ იზომება და ამ მხრივ როგორ არჩევთ პატრიოტებს?***

– პატრიოტიზმი არის ქვეყნის ადეკვატური სიყვარული, რომელიც გაძლევს იმის მოტივაციას, რომ შენი ქვეყნისთვის რამე შექმნა და მას უკეთესი გაუკეთო. აი, ასე ვხედავ მე პატრიოტიზმს.

***– რომელ პოლიტიკურ ძალასთან აპირებთ თანამშრომლობას?***

– ვითანამშრომლებთ მათთან, ვისთვისაც მისაღებია დასავლური, ცივილური ღირებულებები და არა – ერთმმართველური, მონური შეხედულებები. საქართველო სამხრეთის ქვეყანაა, მაგრამ ევროპული ორიენტირით. ბანალურია,

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# ელისაშვილი: „ყეყეჩი მეჭიაური ძალიან ძვირი გვიჯდება“

## მეჭიაური: „ელისაშვილის ტყუილებს მისი ცხვირის ზომა ადასტურებს“





გასული კვირის ბოლოს პარლამენტის დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა და თბილისის საკრებულოს დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა ერთმანეთი თბილად მოიხსენიეს.

პირველად თამაზ მეჭიაურმა გამოთქვა ალეკო ელისაშვილზე აზრი.

– ელისაშვილი შემჩნეულია ხშირად ცილისწამებებში და ამას მისი ცხვირის ზომაც ადასტურებს. თანდათან ეზრდება, იმდენ ტყუილს ამბობს. იმხელა თანხაზეა საუბარი, ბინ ლადენი თუ ჰყავდათ გასაშვები. თუ არა, აბა, ამდენ ფულს ვისში იხდიდნენ? – განაცხადა უმრავლესობის ვარსკვლავმა მეჭიაურმა.

ალეკო ელისაშვილმა თამაზ მეჭიაურს 12 დეკემბერს რუსთავი 2-ის ეთერში უპასუხა.

– ეს რა უცნაური კაცი ჰყავთ პარლამენტში. წარმოიდგინეთ, ამ ბრიყვი კაცის შენახვაზე რამდენ ფულს ვიხდით ხალხი, რომ მას ხელფასი, პრემია ჰქონდეს, მანქანა ემსახურებოდეს, უზარმაზარი კაბინეტი ჰქონდეს. იმ კაცის, რომელიც იდიოტობას იდიოტობაზე ლაპარაკობს და ცხვირს მიზომავს ყოველდღე, პასუხად ერთი ქალაქური რამის თქმა მინდა, მაგრამ არც თავს ვაკადრებ და არ მაყურებელს, რომ ეს ვთქვა. ეს არის სამწუხარო, თორემ იყოს თავისთვის და ილაპარაკოს სისულელეები. ამაში ფული რომ არ გვიჯდებოდეს, გული არ დამწყდებოდა. უბრალოდ, ძალიან დიდი ფული გვიჯდება ეს ყეყეჩი კაცი, – აღნიშნა ალეკო ელისაშვილმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალები მალე ერთმანეთს დაჭამენ“

შორენა მარსაგიშვილი



## ომარ ნიშნიანიძე: „ნაციონალებმა ისეთი ორგია მოაწყვეს, სარკოზიც კი გადარიეს“

არის თუ არა „ქართული ოცნება“ ხელისუფლების დასათმობად მზად, რატომ არ უნდა უკვირდეს ყოფილ ხელისუფლებას მისთვის ნასროლი კვერცხები, რა პროცესები შეინიშნება პარლამენტის კულუარებში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ომარ ნიშნიანიძე ესაუბრება.

***– 11 დეკემბერს გამართულ პლენარულ სხდომაზე ნაცმოძრაობის აღმასრულებელმა მდივანმა სერგო რატიანმა მოგიწოდათ, რომ უკვე ახლავე უნდა შეეგუოთ არჩევნების წაგებას. რის საფუძველზე გააკეთა თქვენმა კოლეგამ ეს განცხადება?***

– რის საფუძველზე ამბობს და, ეტყობა, რაღაც ტკბილი სიზმარი აქვს ნანახი. უნდა გავაწბილო ეს ახალგაზრდა და ვუთხრა, რომ ვერ ეღირსებიან სანუკვარი ოცნების ასრულებას. ამაში მათ საკუთარი წარსული შეუშლის ხელს. ის ავბედითი 9 წელი ყველას ძალიან მწარედ ახსოვს საქართველოში.

ხშირად გვსაყვედურობენ, არ უნდა დაანებოთ ამ 9 წელზე საუბარს თავიო. სხვებისა არ ვიცი და მე არ ვაპირებ ამის დავიწყებას. როგორც ისტორიკოსი, თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ეს პერიოდი ხშირად გავიხსენო, რათა ასეთი რეჟიმი აღარასოდეს დაბრუნდეს.

შეიძლება ჩვენ არჩევნები წავაგოთ, მაგრამ სერგო, აკო, მაკო კაკო, ჩიორა-ბელურები მაინც ვერ დაბრუნდებიან. ჩვენ რომ გვიკიჟინებენ, შეეგუეთ წაგებასო, თავად არჩევნებამდე მიაღწევენ? ჩვენთვის რჩევების მიცემას, ამაზე ურჩევნიათ, იფიქრონ.

***– არჩევნებამდე რატომ ვერ მიაღწევენ?***

– იშლებიან და მაგიტომ. გირჩა ცალკე გამოვიდა. ცოტა ხანში სხვებიც წამოვლენ. არჩევნებამდე საკმარისი დროა და ამ პერიოდში, შესაძლოა, ერთმანეთი დაჭამონ. ამას ისე არ გეუბნებით, ამის ნიშნები აშკარაა.

***– მხედველობაში ბოლო დროს გამოქვეყნებული აუდიოჩანაწერები გაქვთ?***

– მე იმის მიხედვით ვმსჯელობ, რასაც საკუთარი თვალით ვუყურებ. ვაკვირდები ამ ნაციონალებს და ძალიან დაძაბულები არიან. ჯერ საქმე იქამდე არ მისულა, რომ ერთმანეთს დასცხონ. დასცხონ და დაჭამონ ერთმანეთი, მაგათთვის არ გვცალია. ძალიან თუ გაახურებენ, ერთორს ჩვენც მოვდებთ კეფაში.

***– თქვენი ოპონენტებიც მაგაზე ჩივიან, რომ სულ ჩხუბზე იწევთ. გასულ კვირას პატარა ჩხუბი იყო პარლამენტში, მისი კომენტირებისას მიშა მაჭავარიანმა თქვა, „ქართულ ოცნებას“ როცა არგუმენტები შემოელევა, მუშტებზე გადადიანო.***

– მაგათ წინააღმდეგ არგუმენტები როგორ უნდა შემოგველიოს. უბრალოდ, ისე ცუდად აქვთ შუბლზე ძარღვი გაწყვეტილი, რომ მოთმინებას გვაკარგვინებენ. ერთხელაც აიჭრები კაცი და მოსდებ კეფაში. გამომივიდნენ ხალხზე გულშემატკივრები,. თურმე მოსახლეობაზე დარდით აღარ არიან კაკო ბობოხიძე და ჩიორა, ჰგონიათ, ხალხი ვერ ხვდება, რომ ნიანგის ცრემლებს ღვრიან.

***– 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას ნაციონალებმა განაცხადეს, ანტიხალხური ბიუჯეტია და მთავრობის კეთილდღეობას ემსახურებაო.***

– აი, კიდევ ერთი დასტური, რომ შუბლზე ძარღვი აქვთ გაწყვეტილი. ეს მათ ჰქონდათ საკუთარ ჯიბეზე მორგებული ბიუჯეტი. სულთან მიხეილი თავისი ჰარამხანით ბიუჯეტის ფულზე არ დადიოდა აქეთ-იქით? ბიუჯეტის ხარჯზე არ მოაწყვეს ორგია ლისაბონში? ორგიასაც გააჩნია, ამათ იმნაირი სასწაული ქნეს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტიც კი გადარიეს. არადა, ფრანგს არც ორგია უკვირს და არც – სექსის სხვადასხვა სახეობა. ამათ მთლად საშინელება მოაწყვეს, რადგან გულგახეთქილმა სარკოზიმ პოლიცია გამოიძახა.

ამათგან განსხვავებით, ჩვენ ბიუჯეტი სწორედ ხალხს მოვარგეთ. ჩვენ გადავარჩინეთ ადამიანის ჯანმრთელობა. იმ საყოველთაო დაზღვევასაც აქვს ხარვეზები და მაგასაც გამოვასწორებთ, მათთვის კი ადამიანი არაფერს წარმოადგენდა.

***– ხალხზე ვზრუნავთო და მილიონობით ლარი პრემიებსა და დანამატებზე რომ არის გათვალისწინებული, ამაზე რას იტყვით?***

– ადრეც გითხარით, სადაა ეს პრემია? მე არ ვიცი პარლამენტში ადამიანი, რომელსაც პრემია ჰქონდეს აღებული. ჩვენ არ ვიღებთ პრემიებს. ეს თემა ნაციონალებმა ააგორეს, იმ დღეს ერთი ქალი დამხვდა პარლამენტთან და მომაყვირა, ხომ კარგად იღებთ პრემიებსო.

ნაციონალებმა პრემიების თემაზე ისეთი შავი პიარი ააგორეს, რომ ხალხს პრემია საშინელება ჰგონია. არადა, უნდა იყოს პრემია, ოღონდ იმ ადამიანებმა უნდა მიიღონ, ვინც რაღაცით გამოიჩინა თავი.

პრემიების მახინჯი სისტემა მაგათ მოიგონეს და აქეთ გვაბრალებენ. ეგენი მეძავი ქალივით არიან, იმ საქმეზე რომ მიასწრებ და იქით დაგაბრალებს, შენ იყავიო.

***– ნოდარ ხადურის მუშაობით ერთ დროს უმრავლესობაც უკმაყოფილო იყო. 11 დეკემბერს დეპუტატმა ეკა ხერხეულიძემ მისი გადადგომა მოითხოვა. ხომ არ შეუერთდება რომელიმე მეოცნებე მის მოთხოვნას?***

– ხადურთან პრეტენზიები არ გვქონია, უბრალოდ, გვინდოდა, კიდევ უფრო უკეთესად ემუშავა. ეკა ხერხეულიძეს როგორ შეიძლება, ვინმე აჰყვეს. ეს ქალი რამდენიმე დღის წინ გამოვიდა და ჩვენს დათო ლორთქიფანიძეს ყეყეჩი უწოდა. ველარ მოვითმინე და ცუდი რაღაც ვთქვი ამ ქალზე, რასაც აღარ გავიმეორებ.

ძალიან მიკვირს, ეს ქალი, ნუგზარ წიკლაური და კაკო ბობოხიძე როგორ არიან ნაციონალურ მოძრაობაში. წლების წინ ჩვენ ეროვნულ მოძრაობაში ვიყავით. ჩემთვის ზვიად გამსახურდია ყველაზე ეროვნული კაცია. მის გვერდით რომ იდგნენ ეს დალოცვილები, რანაირად აღმოჩნდნენ ნაციონალურ მოძრაობაში, ვერ გავიგე. არ მესმის, როგორ შეიძლება, ადამიანი ეროვნულობიდან ანტიეროვნულობაში გადავარდეს. ამას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს – ან მაშინ თვალთმაქცობდნენ, ან ახლა თვალთმაქცობენ.

***– დათო ლორთქიფანიძეს თავს სხვა ნაციონალებიც ესხმიან. „ქართული ოცნება“ მის დასაცავად რატომღაც არ ირჯება და ესაა თქვენი გუნდურობა?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გიორგი ქვრივიშვილი: „ჩვენი არჩევანი დასავლური ღირებულებებია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მაგრამ ვიტყვი, რომ ჩვენი წინსვლის გასაღები დასავლეთშია.

***– უცნაური დამთხვევაა, როცა ჩვენი მთავრობის ყოფილი წევრები, პრეზიდენტი უკრაინაში გადაბარგდნენ და უკრაინის პოლიტიკოსი საქართველოში ცდილობს პოლიტიკური კარიერის შექმნას.***

– საქართველოს მთავრობის ყოფილი წევრები უფრო ადრე ჩავიდნენ უკრაინაში. თუ ამომრჩეველი ნდობას გამოგვიცხადებს, ბატონი ლეონიდ ჩერნოვეცკი დაამტკიცებს, რომ მისი მუშაობის შედარება უკრაინაში გადასულ ნაციონალებთან უხერხულია, მით უმეტეს, რომ აქ მოსახლეობა გადაწყვეტს, უნდა თუ არა ჩერნოვეცკის გუნდი მმართველობაში, რაც უკრაინის შემთხვევაში არჩევნების გზით არ მომხდარა.

***– საქართველოს ერთი დიდი პრობლემაც აქვს – დარღვეულია მისი ტერიტორიული მთლიანობა. თქვენი ლიდერი არაქართველია, მისი წარმომავლობა რუსეთთან უფრო ახლოს არის, ვიდრე საქართველოსთან. ამ საკითხზე რას ფიქრობთ?***

– საქართველო არის ოკუპირებული, ეს ფაქტია და ფაქტია, რომ ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს. ვერც ერთი წარსული, არსებული და მომავალი მთავრობის მუშაობა ვერ ჩაითვლება წარმატებულად, სანამ არ აღდგება საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა. ჩვენ უნდა შევქმნათ ეკონომიკური პროგრესი, რომ გავზარდოთ პენსიები და ხელფასები, რომ მათთვის გავხდეთ მიმზიდველები, მივიღოთ უვიზო მიმოსვლა ევროპაში. მაშინ მათთვის ჩვენ უკვე გავხდებით საინტერესო.

მხოლოდ ასე ვხედავთ ტერიტორიების დაბრუნების გზებს, თუმცა პარალელურად უნდა გვყავდეს ძლიერი ჯარი. ეს ქვეყნის სიმტკიცის სიმბოლოა.

ჩერნოვეცკი თავს საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქედ თვლის და შეურაცხყოფად იღებს, თუ ვინმე ამ საკითხს ეჭვის თვალით შეხედავს. გადაწყვეტილი აქვს, რომ სიცოცხლის ბოლომდე საქართველოში იცხოვროს ოჯახთან ერთად.

***– თქვენი პროექტებია ბავშვთა სახლები, პანსიონები, მოხუცების მოვლის პროგრამა.***

– არ მინდა დავაკავშირო ქველმოქმედება და პოლიტიკა, ეს არ არის სწორი, უბრალოდ, მოგიყვებით ჩვენი ფონდის შესახებ. ქველმოქმედებას არ სჭირდება ხმამაღლა ლაპარაკი. ფონდის საქმიანობაზე ბევრი მინდა გესაუბროთ, უბრალოდ, ამას არაერთი ინტერვიუ დასჭირდება

წარმოუდგენელი წინააღმდეგობა შეგვხვდა ქობულეთის გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის პანსიონთან დაკავშირებით. სამწუხაროა, რომ ხელი ჯანდაცვის სამინისტრომ შეგვიშალა, თან ისე, რომ არც დაფიქრებულა, რამხელა პრობლემაა ქუჩაში მიტოვებული, მშიერი ბავშვი.

ქობულეთში არის სხვა, ბავშვთა არალიცენზირებული სახლები და, ალბათ, ბევრი პირველად გაიგებს, რომ ისინი თურქული ფულით, საქართველოს სახელმწიფოს მიერ უკონტროლოდ არის გახსნილი. ვისაც ეს საკითხი სტკივა, ვგულისხმობ მთავრობის წევრებს, შეამოწმონ, რა მიზნით პატრონობენ ქართველ მოზარდებს თურქული ორგანიზაციები და ხომ არ გახდებიან ეს ბავშვები სხვა იდეოლოგიის მსხვერპლნი. საკითხის შესწავლა აქედან უნდა დაიწყოს და ეს უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ.

ჩვენს ფონდს აქვს ყველაზე დიდი მოხუცების შინ მოვლის პროგრამა, სადაც ყოველდღიურად 500-ზე მეტ მოხუცებულს ვეხმარებით უფასო ექთნის მომსახურებით

(გვყავს 25-ზე მეტი ექთანი), უფასო მედიკამენტებით და საკვებით. ეს ჩვენი მოხუცებისთვის, რომლებიც შიმშილის ზღვარზე არიან, არის უდიდესი დახმარება და ნამდვილად საამაყო პროექტია ჩვენთვის.

***– თქვენ როგორ მოხვდით ლეონიდ ჩერნოვეცკისთან?***

– როცა საქართველოში ჩამოვიდა, თანამშრომლობისთვის მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციას და მათ გამიწიეს რეკომენდაცია. უკვე 6 წელია, მასთან ვმუშაობ.

# ვიზალიბერალიზაციის მოლოდინში

მარიამ მჭედლიშვილი

ევროკომისიის 15 დეკემბერს გაკეთებული მოხსენება გახდება საქართველოსათვის ევროკავშირის ქვეყნებში ვიზალიბერალიზაციის მინიჭების წინაპირობა. ამის შემდეგ გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ ევროკავშირის სხვა სტრუქტურებმა – ევროპულმა კომისიამ და ევროპარლამენტმა.

თუ ისინი დადებით დასკვნებს გამოიტანენ, მომავალი წლიდან საქართველოს მოქალაქეები ევროპაში უვიზოდ მიმოსვლას შეძლებენ. პროცესი შეიძლება თებერვლიდან დაიწყოს. არის ინფორმაცია იმაზეც, რომ უვიზო რეჟიმი საქართველოს მიმართ ზაფხულიდან ამოქმედდება.

ვიზალიბერალიზაციის მისაღწევად საქართველომ შეასრულა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქ-





მედო პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნები. წინასწარი მონაცემებით, ეს დავალება დამაკმაყოფილებლად შესრულდა. საბოლოო შეფასებები ამ დღეებში გაკეთდება.

თუ ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა, საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ ჩასვლის უფლებას მოიპოვებენ შენგენის ზონაში ანუ ევროკავშირის 22 წევრ სახელმწიფოში, 4 არაწევრ ქვეყანაში და შენგენის 4 კანდიდატ სახელმწიფოში. უვიზო მიმოსვლა არ ვრცელდება დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაზე.

ვიზიტი არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს 180-დღიან პერიოდში. ასეთი ლიბერალიზაცია არ გულისხმობს მოქალაქეთა დასაქმებას.

ამ გადამწყვეტ მომენტში საქართველოში გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიები. თითქმის ყველა მათგანი მოუწოდებს ევროკავშირს, მისცეს საქართველოს ვიზალიბერალიზაცია.

ევროსტრუქტურებს საქართველოს პარლამენტმაც მიმართა. საპარლამენტო უმრავლესობამ მხარი დაუჭირა თავისუფალი დემოკრატების მიერ შედგენილ შესაბამის ტექსტს.

პარლამენტი მიმართავს ევროკომისიას, წარმოადგინოს ოფიციალური წინადადება საქართველოს მოქალაქეებისთვის.

# გედეონ ფოფხაძე: „ჯობდა, ალეკო ელისაშვილს ნებისმიერი ჩვენგანისთვის მაშინვე მოემართა“

– თუ ალეკო ელისაშვილმა ნამდვილად იცის კორუფციაში მონაწილე პირების ვინაობა, ისინი უნდა დაასახელოს, -– მიიჩნევს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გედეონ ფოფხაძე. მან შესაბამისი განცხადება ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გააკეთა.



– ჩემთვის ბოლომდე გაუგებარია ალეკოს ლოგიკაც და მოქმედების თანმიმდევრობაც. ჯობდა, მაშინვე მოემართა ნებისმიერი ჩვენგანისათვის და რეაგირებაც მაშინვე მოგვეხდინა, რადგან ერთი წლის, ან 5 თვის წინ მომხდარს და დღეს ნათქვამს შორის არის ვადა, რომელიც, ჩემი აზრით, ამ პროცესში ყველაზე ცუდი მეგობარია, -– აღნიშნა გედეონ ფოფხაძემ.

შეგახსენებთ, რომ მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან პატიმრების გათავისუფლების სანაცვლოდ ქრთამის აღების შეთავაზებაზე განცხადება შეწყალების კომისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა, თბილისის საკრებულოს ამჟამინდელმა წევრმა ალეკო ელისაშვილმა რამდენიმე დღის წინ გააკეთა.

მედიანიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნაციონალები მონოპოლისტობას აბრალებენ კომპანიას, რომელიც ნაგებაზე მუშაობს

**ნაციონალურმა მოძრაობამ ბოლო წლებში იმდენი ტრაგედია გადაიტანა, იმდენი დარტყმა მიიღო, რომ სულაც არ არის გასაკვირი, ინტრიგანობაში ძველებური ფორმა და გამჭრიახობა დაეკარგა ცალკე პარტიასა და ცალკე მის მომყოლ „თავისუფალ ზონას“.**

ამის მიუხედავად, ოდესის გუბერნატორის პარტია კვლავ ცდილობს ალოგიკურ და ბინძურ აქტივობებს.

კამპანია, რომელსაც ნაციონალები ეწევიან ბიძინა ივანიშვილისა და სადაზღვევო კომპანია „ქართუს“ წინააღმდეგ, უკვე ღიად აჩვენებს, რომ ნაციონალებმა არათუ ფორმა დაკარგეს, არამედ – ადეკვატურობა და ლოგიკაც. სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას მათი ბრალდება, „ქართუ“ ფულს შოულობს და მონოპოლიის დამყარებას ცდილობს სადაზღვევო ბაზარზეო?!

სადაზღვევო ბაზართან ახლოს გავლილმაც კი იცის, რომ „ქართუს“ დაზღვევა უფრო ქველმოქმედებაა, ვიდრე დაზღვევის ბიზნესი. ამას აჩვენებს ოფიციალური სტატისტიკაც, სადაც ჩანს, თუ რომელმა სადაზღვევო კომპანიამ რა მოგება ნახა გასული წლების განმავლობაში.




2015 წლის შედეგები თვის ბოლოს დაიდება, თუმცა, უკვე არსებული მონაცემებით ჩანს, რომ „ქართუს“ დაზღვევა მოგებაში კი არა, მინუსებში გავა. ეს კომპანია კურიოზულ მდგომარეობაშია, რადგან ტენდერები, რომლებშიც მას გაუმარჯვია, რეალურად ტვირთად აწვება და არა – ხეირად და სარგებლად.

ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ წარმოიდგინოს, რამხელა რესურსები შეიძლება ჰქონდეს „ქართუს“ დაზღვევას, ეს რომ ივანიშვილის გეგმაში იყოს. იგივე ვითარებაა სადაზღვევო კომპანიის თანამფლობელ „ქართუ ბანკთან“ დაკავშირებითაც. საკმარისი იქნებოდა ივანიშვილის სურვილი და „ქართუ ბანკი“ მაშინვე სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა დანარჩენ კომერციულ ბანკებს.

არც ლოგიკით, არც სტატისტიკითა და არც რეალობით სადაზღვევო კომპანია „ქართუ“ არ არის არათუ მონოპოლისტი, არამედ ბაზრის ამინდის განმსაზღვრელიც კი. ამის მიუხედავად, ნაციონალები არ იშლიან ლანძღვასა და ტალახის სროლას.

შესაძლოა, ეს ცუდიც არ არის. რაც უფრო მეტ სისულელეს იტყვის ოდესის გუბერნატორის მხარდამჭერთა გუნდი, მით უფრო დააჩქარებს საკუთარ დაშლასა და გამასხარავებას.

# არასამთავრობოები ნაციონალების ოფისზე მომხდარი თავდასხმის გამოძიებას ითხოვენ




არასამთავრობო ორგანიზაციები დედოფლისწყაროში „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისზე განხორციელებულ თავდასხმას ეხმაურებიან და სამართალდამცველებს ფაქტის დროულად გამოძიებისკენ მოუწოდებენ.

მესამე სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ძალადობრივი ქმედებები ხელს უშლის პოლიტიკური პროცესების მშვიდ და სტაბილურ გარემოში წარმართვას.

– მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის 9 დეკემბერს, ღამის საათებში, ქალაქ დედოფლისწყაროში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. სროლის შედეგად დამსხვრეულია ოფისის ფანჯრის მინები, დაზიანებულია კედლები და საოფისე ავეჯი. აღსანიშნავია, რომ ოფისის მესაკუთრე იმავე შენობაში, მეორე სართულზე ცხოვრობს. მისი განცხადებით, მომხდარი ფაქტი 10 დეკემბერს დილით დააფიქსირა და აღნიშნულის თაობაზე პოლიციას შეატყობინა.

„სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორი ესაუბრა ნაციონალური მოძრაობის დედოფლისწყაროს პარტიის ლიდერ ლევან ბაღაშვილს, რომლის განცხადებითაც ოფისის დაცხრილვა ღამის საათებში მოხდა და, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. ამავე შენობაში განთავსებულია საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის, ზაზა კედელაშვილის ოფისი. პარტიის წარმომადგენლების თქმით, ოფისის დაცხრილვის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც დედოფლისწყაროს სამმართველო იძიებს.

აღსანიშნავია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებზე თავდასხმის შემთხვევები მიმდინარე წლის ოქტომბერშიც დაფიქსირდა, როდესაც საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში თავს დაესხნენ და დააზიანეს პარტიის ოფისები, რიგ შემთხვევაში, აჭედეს შენობის კარი და შეღებეს ოფისის ფასადები. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით ჩვენ სამართალდამცავ ორგანოებს დროული და ობიექტური გამოძიების ჩატარებისკენ მოვუწოდეთ.

ძალადობრივი ქმედებები ხელს უშლის პოლიტიკური პროცესების მშვიდ და სტაბილურ გარემოში წარმართვას და რისკის ქვეშ აყენებს არა მხოლოდ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკურ ძალებისათვის ნორმალურ სამუშაო გარემოს, არამედ ოპოზიციაში მყოფი პირების უსაფრთხოებასაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ ხელისუფლებას, უზრუნველყოს ქვეყანაში სტაბილური და მშვიდი წინასაარჩევნო გარემოს შენარჩუნება. მოვუწოდებთ სამართალდამცავ ორგანოებს მოახდინონ ამ და სხვა ძალადობრივი ინციდენტების სწრაფი, ობიექტური და სრულყოფილი გამოძიება, – ნათქვამია განცხადებაში.

ერთობლივ განცხადებას ხელს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო აწერენ.

**ნიუსპრესი**

# „ნაციონალები მალე ერთმანეთს დაჭამენ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– სხვაზე ვერაფერს გეტყვით, პირადად მე სულ გავყვირივარ და იმ ქალზეც კი ვთქვი ისეთი რაღაც, რისი გამეორებაც გამიჭირდება. საქმე საქმეზე თუ მიდგა, ყველა ამოვიღებთ ხმას. ახლა ამის საჭიროება, ალბათ, არ არის.

***– დათო ლორთქიფანიძისთვის კოსტიუმის შემოხევის ფაქტზე 3 ახალგაზრდაა დაპატიმრებული. გასაგებია, რომ დეპუტატზე თავდასხმა ისჯება, მაგრამ რატომ არ დაიჭირეს ის პიროვნება, რომელმაც ოქტომბერში დეპუტატ გიორგი ღვინიაშვილს სახეში გაარტყა? ის კაცი ამტკიცებს, ლორთქიფანიძეზე მეტად მე დავზარალდიო.***

– მე არ ვიცი, დათოზე მეტად დაზარალდა თუ არა ღვინიაშვილი, მაგრამ იმაში კი ვეთანხმები, რომ მისი საქმეც სათანადოდ უნდა ყოფილიყო გამოძიებული. იმ 3 ბიჭის დაკავებას, რომელიც დათოს დაესხა თავს, მე პროვოკაციად მივიჩნევ. დაკავებით უნდა დაეკავებინათ, მაგრამ სასამართლოს ხელწერილით უნდა გამოეშვა, ანდა ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისრა. მათი წინასწარ პატიმრობაში აყვანა პროვოკაციაა.

***– გინდათ თქვათ, რომ სასამართლომ გაგიჩალიჩათ ეს პროვოკაცია?***

– არ ვიცი, ვინ გააჩალიჩა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ წინასწარი პატიმრობა საჭირო არ იყო. ამით ნაციონალებს სალაპარაკო მივეცით. ახლა ნაციონალები ცდილობენ, დათო „უჟასად“ გამოიყვანონ, მაგრამ არაა ასე საქმე. რამდენიმე დღის წინ მან მოაწერა იმ პეტიციას ხელი, რომლითაც იმ ახალგაზრდების გათავისუფლებას ითხოვენ.

***– ამ მიმართვას „ქართული ოცნების“ დანარჩენმა წევრებმაც მოაწერეს ხელი?***

– მოუწერეს. მგონი, მე დავრჩი მარტო, ვისაც ხელი არ მოუწერია.

***– თქვენ რატომ არ მოუწერეთ ხელი, თავად არ თქვით, წინასწარ პატიმრობაში დატოვება არ შეიძლებოდაო?***

– ეგენი ჩემთან მოსვლას ვერ ბედავენ და არც მიმართვა მოუტანიათ, თორემ სიხარულით მოვუწერდი ხელს.

გამოვარდა იმ დღეს გია ბარამიძე და თავისებური შედარებები დაიწყო. ერთმანეთს ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირი და დათო ლორთქიფანიძის კოსტიუმი შეადარა, განაცხადა, თუ ჩიორას ცხვირი არ გედარდებოდათ (ამ ქალს 2013 წლის თებერვალში აქციის მონაწილეებმა ხელი გაარტყეს და ცხვირიდან სისხლი წასკდა), ლორთქიფანიძის კოსტიუმი რატომ გადარდებთო.

რადგან შედარებაზე წავიდა საქმე, მაშინ შევადაროთ ჩიორას ცხვირი და ვალერი გელაშვილის, ანდა კობა დავითაშვილის სხეული. ორივე მათგანი სასიკვდილოდ გამეტეს. სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო გირგვლიანი აწამეს და მოკლეს. მისი ნაწამები სხეულის ფოტოები არსებობს და ეს დაჩეხილი სხეული შეადარონ ჩიორას ცხვირს.

***– ბარამიძეს მარტო ეს შედარებები არ გაუკეთებია. ის „ქართულ ოცნებას“ სისხლისღვრის დაწყების მცდელობას სდებენ ბრალად. ეს ბრალდება მან რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროში მომხდარი ინციდენტის გამო წამოგიყენათ, როდესაც ნაცმოძრაობის ოფისი იარაღით დაცხრილეს. ამ ინციდენტზე რას იტყვით?***

– დედოფლისწყაროში მომხდარი ინციდენტი სასწრაფოდ უნდა იქნეს გამოძიებული. ეს ფაქტი ყველამ უნდა დაგმოს. არ შეიძლება თუნდაც ყველაზე მიუღებელი პარტიის ოფისისთვის ტყვიის სროლა. ეს ჩვენს ინტერესში ნამდვილად არ შედიოდა. იმედია, გამოძიება მალე დაადგენს სიმართლეს.

***– ამ ინციდენტამდე რამდენიმე კვირით ადრე ნაციონალებს მთელი ქვეყნის მასშტაბით აუწიოკეს ოფისები, ზოგან საღებავები შეასხეს, ზოგან კვერცხები ესროლეს. ყოფილი ხელისუფლების მტკიცებით, ამ ქმედებების უკანაც „ქართული ოცნება“ დგას.***

– კვერცხების სროლა უკვირთ ამ უსირცხვილოებს? ან რანაირად ამტკიცებენ, რომ „ქართული ოცნება“ დგას ამის უკან. ჩვენ არაფერ შუაში ვართ და ყველაფერზე პასუხი თავიანთ წარსულში ეძიონ. ადამიანებს ქონებას ართმევდნენ, საშინლად აწამებდნენ, ციხეში მამაკაცებს აუპატიურებდნენ და ახლა უკვირთ, ვიღაც გამწარებულმა მოქალაქემ კვერცხი რომ ესროლა. ისე, მართლა გასაკვირია, ქვებს რომ არ ესვრიან.

ხელოვნებათმცოდნე ვასილ კიკნაძემ ცოტა ხნის წინ ჩვენზე თქვა, ძლივს მოვესწარი, როცა ხელისუფლება უფრო ჰუმანურია, ვიდრე საზოგადოებაო. ამ სისხლისმსმელებს უკვირთ ჩვენი ჰუმანურობა და სისხლის წყურვილი კლავთ.

***– გამოდის, რომ რასაც ხალხი ხელისუფლებას უუნარობად უთვლის, ჰუმანურობაა. ასეა ვითომ სინამდვილეში?***

– რას ჰქვია უუნარობა? ქვეყანაში უამრავი პროექტი განვახორციელეთ. ერთადერთი, რაშიც შეიძლება, უუნარობა დაგვაბრალონ, ისაა, რომ ნაციონალები ბოლომდე არ ამოვძირკვეთ. არ იყო ეს მხოლოდ ჩვენზე დამოკიდებული, თორემ ამოვძირკვავდით. ჩვენ ამ საქმეში ისე გვაქვს ხელფეხი შეკრული, ქართველ მოცურავეს რომ ჰქონდა, დარდანელი როცა გადაცურა.

***– იმან ხომ მოახერხა გადაცურვა.***

– ჩვენც ვახერხებთ რაღაცებს. მეტი უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ უფლებას არ გვაძლევენ.

*სამართალი*

# საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით 10 პირი დააკავეს

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს, სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა მეორე სამმართველოს (ახალციხე) №6 სასაზღვრო სექტორის (კარწახი) დასაცავ მონაკვეთზე ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით 10 პირი დააკავეს.

ბრალდებულები, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდნენ.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

**ნიუსპრესი**

# პროდუქციის წონის ხელოვნურად ზრდის გამო ერთი პირი პასუხისგებაში მისცეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა მოქალაქე ზურაბ გედევანიშვილი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ქალაქ რუსთავში, „სტამბოლის ბაზრის“ ტერიტორიაზე სისტემატურად ამზადებდა სპეციალურ ელექტრონულ მოწყობილობას, რომელსაც შემდგომში ამონტაჟებდა პროდუქციის ასაწონ სასწორებში და ახდენდა მის რეალიზაციას სხვადასხვა მარკეტებსა და საცალო ბაზრობებზე. ელექტრო სასწორებში ჩამონტაჟებული მოწყობილობა იმართებოდა სპეციალური დისტანციური მართვის პულტებით, რაც საშუალებას აძლევდა გამყიდველს ხელოვნურად გაეზარდა პროდუქციის წონა. საგამოძიებო სამსახურის მიერ, სხვადასხვა ობიექტებიდან ამოღებულია სასწორები, რომლებიც განკუთვნილი იყო მომხმარებლის მოსატყუებლად.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით.

**ნიუსპრესი**




# მკვლელობა ახმეტაში — 21 წლის ბიჭი ნაჯახით მოკლეს

ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში 21 წლის ბიჭი ნაჯახით მოკლეს. შემთხვევა თანასოფლელის სახლში მოხდა. ადგილობრივების ინფორმაციით, მკვლელობას წინ შელაპარაკება უძღოდა. რა გახდა მკვლელობის მიზეზი, უცნობია.

მომხდარზე გამოძიება საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით აღიძრა, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. მკვლელობაში ბრალდებული პირი დაკავებულია.

**ნიუსპოსტი**

# ზუგდიდში საქართველოს ბანკის ექსპრესფილიალი დააყაჩაღეს

ზუგდიდში საქართველოს ბანკის ექსპრესფილიალი დააყაჩაღეს. უცნობი პიროვნება ბაკში სესხის აღების მიზეზით მივიდა, მოლარემ განუმარტა, რომ მას დავალიანება ჰქონდა. საუბრის შემდეგ უცნობმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით მოლარე ოპერატორისთვის თანხის გამოძალვა ცადა. მან თანხა შენობიდან გაიტანა, თუმცა პოლიციამ მისი დაკავება შეძლო. არსებული ინფორმაციით, მძარცველი ოჩამჩირიდან დევნილი, გვარად კვაშილავაა.




**ნიუსპოსტი**

# ვახტანგ თორდია: „ქართულ პარლამენტში აფხაზეთს წარმომადგენლები უნდა ჰყავდეს“

ნათია ხურცილავა

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვახტანგ თორდია აცხადებს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში უნდა შევიდეს შესწორება პარლამენტში აფხაზეთის წარმომადგენლობის არჩევასთან დაკავშირებით.

**ვახტანგ თორდია:**

– დღემდე არ არის შემუშავებული აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ერთიანი სტრატეგია. სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არაერთხელ გავუშვით შანსი, რომ სერიოზული ნაბიჯები გადაგვედგა კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით.

უკვე 10 წელზე მეტია, რაც აფხაზეთის მოსახლეობა არ არის წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში. მათ აქვთ უფლება, ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში.

***– რას შეცვლიდა ის გარემოება, თუ აფხაზეთს ეყოლებოდა თავისი წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში?***

– ის გარემოება, რომ ამჟამად აფხაზეთს არ ჰყავს წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში, უარყოფითად მოქმედებს მისი მოსახლეობის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმაზე, მათი ინტერესების სრულყოფილად წარდგენასა და დაცვაზე. ამით იზღუდება მათი უფლება, აირჩიონ აფხაზეთის წარმომადგენლები და ჰყავდეთ საკუთარი წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში.

არსებული მდგომარეობით, ჩვენ თვითონ, ნებსით თუ უნებლიეთ, ეჭვქვეშ ვაყენებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის პრინციპს და მტრის წისქვილზე წყალს ვასხამთ.

აფხაზეთის მოსახლეობა ელოდება საკონსტიტუციო ცვლილებების იმ ნაწილს, რომელიც ეხება მათი წარმომადგენლობის უზრუნველყოფას საქართველოს პარლამენტში. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს ამ მოსახლეობის პოლიტიკურ გააქტიურებასა და მათი ინტერესების დაცვას.



***– რა გამოძახილი შეიძლება მოჰყვეს ამ ცვლილებას კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის?***

– ამით რეალური გამოხატულება უნდა ჰპოვოს იმ მიმზიდველმა განცხადებამ, რომ საქართველოს კარი ღიაა აფხაზებისთვის და ყველა იმ პირისთვის, რომლებიც დღეს კანონიერად ცხოვრობენ კონფლიქტური რეგიონების ტერიტორიაზე, რომ მათ შესაძლებლობა ექნებათ, სათანადოდ წარმოადგინონ და დაიცვან თავიანთი ინტერესები საქართველოს პარლამენტში.

საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში შემოღებულ უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობისადმი მიძღვნილი თავი. ამ თავში უნდა დაფიქსირდეს როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკურ-დეკლარაციული ნორმები. მინიშნება იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ოკუპაციას არ ურიგდება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საქართველოს სახელმწიფოს უპირობო და უმთავრესი ამოცანაა და არ შეიცვლება მიზნის მიღწევამდე.

***– როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს კონსტიტუციის ამ რედაქციაში აფხაზეთის სტატუსი?***

– საქართველოს კონსტიტუციამ უნდა განსაზღვროს ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, რომელთა ფარგლებში დაშვებული უნდა იქნეს კომპეტენციათა ასიმეტრიული გამიჯვნა საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა და ტერიტორიული ერთეულების ორგანოებს შორის. ამით უზრუნველყოფილი იქნება ცალკეული ტერიტორიული ერთეულების სტატუსი. მაგალითად აფხაზეთის განსაკუთრებული კომპეტენცია, რაც უნდა იყოს განსხვავებული ანუ ასიმეტრიული. ამით შესაძლებელი იქნება მოლაპარაკების ობიექტად ვაქციოთ სუვერენულ უფლებათა პაკეტი აფხაზეთისათვის.

აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში უნდა გააჩნდეს ყველაზე მაღალი სტატუსი, გააჩნდეს უფლებამოსილებები, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მთელი რიგი საკითხები და ასევე ჰქონდეს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში – საქართველოს პარლამენტში, მთავრობასა და სასამართლო ხელისუფლებაში – განსაკუთრებული წარმომადგენლობა და უფლებამოსილებები.

ასევე საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში მიუღებელია, დარჩეს ძველი ჩანაწერი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ასეთ ტერმინს – ავტონომიური რესპუბლიკა – მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკა არ იცნობს. ეს საბჭოური ტერმინი და საბჭოთა გადმონაშთია. სავსებით შესაძლებელია, საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში აფხაზეთს ეწოდოს აფხაზეთის რესპუბლიკა. უშუალოდ აფხაზეთის სტატუსი კი უნდა იყოს მომავალი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების საგანი.

# აფხაზური ეკლესია განდგომილებს შერიგებას სთავაზობს

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზურ ეკლესიაში განხეთქილება გრძელდება. 2011 წელს დაწყებული კონფლიქტი დღემდე ვერ მოგვარდა და, როგორც აფხაზური მედია წერს, ის უფრო ღრმავდება.**

**აფხაზთა ეკლესიის ხელმძღვანელს ახალგაზრდა სასულიერო პირები დაუპირისპირდნენ. დაპირისპირება ახალ ათონში რუსეთის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მივლენილი რუსი სასულიერო პირის ტაძრის წინამძღვრად დანიშვნას მოჰყვა.**

– ეკლესიაში არსებული დაპირისპირება, რომელსაც ჩვენ განხეთქილებას ვუწოდებთ, ყველასთვის სახიფათოა. მნიშვნელობა არ აქვს, ეს აფხაზეთში მოხდება, რუსეთში თუ საბერძნეთში.

ის, რაც დღეს აფხაზეთში ხდება, 100 წლის წინ რევოლუციამდელ რუსეთში მიმდინარე პროცესების გამეორებაა. მაშინ ე.წ. რასკოლნიკები არ ცნობდნენ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს და საეკლესიო საკითხები სახალხო კრებაზე გაჰქონდათ განსახილველად, რაც კანონიკურად დაუშვებელია, იმიტომ, რომ საქმე ადამიანის სულს ეხება, სული კი შეუფასებელია, – აცხადებს აფხაზ ჟურნალისტებთან საუბარში აფხაზური ეკლესიის წინამძღოლი ბესარიონ აპლია.





მისი განცხადებით, ასეთ ქმედებებს ეკლესია გმობს, თუმცა, როცა პატიებას ითხოვენ, მათ პატიობენ კიდევაც.

როგორც ბესარიონ აპლია ამბობს, აფხაზ „რასკოლნიკებს“ პატიება არც კი უთხოვიათ. აპლია სინანულს გამოთქვამს იმის გამოც, რომ მათ აფხაზეთში ბევრი მიმდევარი ჰყავთ და ხალხს მათი სჯერა.

აფხაზური ეკლესიიდან გამოყოფილი სასულიერო პირები მოსახლეობაში მართლაც დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ერთ-ერთი მათგანი, დოროთეი დბარი, მოსახლეობას მისი ასკეტური ცხოვრების წესის გამო უყვარს. ის დღემდე ჯორზე ამხედრებული დადის.

დოროთეი დბარი სხვა „რასკოლნიკებთან“ ერთად აფხაზურ ეკლესიას ბიზანტიური ეკლესიის სამართალმემკვიდრედ მიიჩნევს. ისინი ყოველთვის ითხოვდნენ, რომ აფხაზეთის ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვა აფხაზურად აღვლენილიყო, აპლია კი რუსულისკენ იხრებოდა და დღემდე მიაჩნია, რომ მათთან სასულიერო პირები რუსეთის საპატრიარქომ უნდა გამოაგზავნოს.

– ჩვენი ეკლესიისგან განდგომილები მოსახლეობას ეუბნებოდნენ. რომ ჩვენ არ გვყავს ეპისკოპოსი და ის კონსტანტინოპოლიდან უნდა ჩამოვიდეს. ხალხს მათი სწამდა და ამიტომაც ჩაცვივდნენ გაურკვევლობაში, – აღნიშნავს ბესარიონ აპლია.

დოროთეი დბარი, რამდენიმე ახალგაზრდა მოძღვართან ერთად, რამდენჯერმე სტუმრობდა კონსტანტინოპოლს. ერთ-ერთი ვიზიტისას ისინი მსოფლიო პატრიარქსაც შეხვდნენ და მისგან ითხოვეს აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება.

ბესარიონ აპლია და სხვა განუდგომელი სასულიერო პირები კი აღიარებას რუსეთის საპატრიარქოსგან ითხოვენ. არც კონსტანტინოპოლი და არც მოსკოვი ამას არ თანხმდებიან, რადგან აფხაზეთის ეკლესია საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაშია და მისი ნებართვის გარეშე მათ დამოუკიდებლობას არავინ მისცემს.

დოროთეი დბართან ერთად, აპლიას ანდრეი ამპარიც დაუპირისპირდა. როგორც აფხაზური ეკლესიის წინამძღოლი ამბობს, ამ უკანასკნელმა განდგომილებისგან დისტანცირება მოახდინა. აპლია იმედოვნებს. რომ მალე ყველა „რასკოლნიკი“ გონს მოვა, მოინანიებს და დედაეკლესიას დაუბრუნდება.

მისივე თქმით, განდგომილების მიმართ რუსეთის პატრიარქი მიმტევებლურად ყოფილა განწყობილი.

– სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილს მიაჩნია, რომ ისინი არ უნდა განვკვეთოთ, რადგან აფხაზეთში სასულიერო პირების ნაკლებობაა. პატრიარქ კირილის აზრით, მონანიების შემთხვევაში ისინი ჩვენს ეკლესიაში უნდა მივიღოთ, – ამბობს აფხაზური ეკლესიის წინამძღოლი.

ბესარიონ აპლია ეკლესიაში არსებულ განხეთქილებას საერო ხელისუფლებასაც აბრალებს.

– ნაწილობრივ წინა ხელისუფლების ბრალია ის დაპირისპირება, რომელსაც დღეს აფხაზურ ეკლესიაში აქვს ადგილი. 2011-2012 წლებში მათ მხარი აუბეს „რასკოლნიკებს“ და იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში გაატარეს აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია. ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან 2 სიმართლე არ არსებობს, – ჩივის აპლია.

მისი თქმით, ამის გაკეთებას აფხაზეთის ძველ ხელისუფლებას არც რუსეთის საპატრიარქო urჩევდა. აფხაზური ეკლესიის წინამძღოლი კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ის ხალხი, რომელმაც წმინდა მიტროპოლია რეგისტრაციაში გაატარა, ხელისუფლებას მოშორდა.

აპლია „რასკოლნიკების“ პრობლემის მოგვარების ამბავში დიდ იმედს ამყარებს მოქმედ ხელისუფლებაზე.

– დღევანდელი ხელისუფლება კარგად აცნობიერებს, თუ რაოდენ დიდი შეცდომა იქნა დაშვებული მისი წინამორბედების მიერ. ახლა პრეზიდენტიც და დეპუტატებიც ყველაფერს აკეთებენ ამ უკანონობის აღმოსაფხვრელად, ცდილობენ, ეს ყველაფერი სიყვარულით გააკეთონ. განდგომილები რაც შეიძლება მალე უნდა დავაბრუნოთ ეკლესიის წიაღში, – მიაჩნია აფხაზური ეკლესიის წინამძღოლს.

◆ ◆ ◆

განდგომილებისგან ჯერ არაფერი ისმის. არადა, ისინი მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

ამ მხრივ განსაკუთრებული სიმპათიით დოროთეი დბარი სარგებლობს. ის აფხაზეთის ისტორიაში ღვთისმეტყველების პირველი დოქტორია.

ეს ტიტული მან გასული წლის მაისში მოიპოვა. დოქტორის წოდება მას სალონიკის არისტოტელეს სახელობის უნივერსიტეტმა მიანიჭა.

# გიგი კალანდაძეს პატიმრობა შეეფარდა

თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისა და წამების საქმეზე პასუხისგებაში მიცემული 5 პირიდან სასამართლომ ბრალდების შუამდგომლობა ორ პირთან დაკავშირებით დააკმაყოფილა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, გიგი კალანდაძესა და გიორგი სამუშიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ. დაცვის მხარე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს. ბრალდებულთა ადვოკატები აცხადებენ, რომ პროკურატურა პოლიტიკური მოტივებით მოქმედებს.



მოსამართლის გადაწყვეტილებით, დაუსწრებლად წინასწარი პატიმრობა მიესაჯა გიგი კალანდაძეს. პატიმრობაში დარჩება კიდევ ერთი ბრალდებული გიორგი სამუშია. გიორგი სამუშია, რომელიც რამდენიმე დღის წინ პროკურატურამ ადამიანის გატაცებისა და მისი წამების ბრალდებით დააკავა და სხვა 4 პირთან ერთადერთი ადამიანის წამებაში დაადანაშაულა, ბრალს არ აღიარებს.

თბილისის საქალაქო სასამართლო ელბერტ გვეტაძის წამების საქმეზე ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე რამდენიმე საათის განმავლობაში მსჯელობდა. ამ საქმეში ბრალდებულები არიან თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით ახალაია, გენერალური შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილე გიორგი კალანდაძე, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მეგის ქარდავა, შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან შამათავა და შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გიორგი სამუშია. გამოძიების თანახმად, ბრალდებულებმა მოქალაქე ელბერტ კობერიძე სამხედრო პოლიციის შენობაში სასტიკად აწამეს. პროკურატურის განცხადებით, აღნიშნული პირები კობერიძისგან ამ დროისთვის დაუდგენელი მიზნით არარსებული ტერორისტული აქტის აღიარებას ითხოვდნენ.

**პირველი რადიო**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# კალაძე: „გაზპრომის გეგმა არ მოგვწონს“

**საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ლუქსემბურგში გაზპრომის ხელმძღვანელ ალექსეი მილერთან გამართულ შეხვედრაზე კომენტარი გააკეთა.**

**გაზპრომის გეგმის მიხედვით, საქართველომ, შესაძლოა, სომხეთში რუსული გაზის მაგივრად გატარებული ბუნებრივი აირის სანაცვლოდ თანხა მიიღოს, თუმცა ქართული მხარისთვის გეგმა მისაღები არ არის.**






შეხვედრა 8 დეკემბერს ლუქსემბურგში შედგა, გაზპრომმა ინფორმაცია 9 დეკემბერს გაავრცელა. შეხვედრის მეორე მონაწილე კახი კალაძემ კი განმარტება მხოლოდ 10 დეკემბერს გააკეთა.

კალაძის განცხადებიდან ცნობილი ხდება, რომ გაზპრომს სომხეთისთვის გაზის მიწოდება საქართველოს გვერდის ავლით აქვს გადაწყვეტილი. მილერის გეგმე ასეთია – საქართველო რუსეთისგან ტრანზიტის სახით 10%-ის ნაცვლად თანხას მიიღებს, სომხეთს კი ბუნებრივი აირი ირანიდან მიეწოდება.

კალაძეს ეს გეგმა არ მოსწონს, თუმცა ამბობს, რომ გაზპრომთან მოლაპარაკებები მაინც გაგრძელდება.

– გაზპრომის მხრიდან ის საკითხიც იყო დაყენებული, რომ გატარების ის 10%, რომელსაც საქართველო იღებს, თანხობრივად ყოფილიყო ანაზღაურებული. გააკეთეს მინიშნება, რომ აქვთ შესაძლებლობა, რომ სომხეთს ბუნებრივი აირი მიაწოდონ ირანიდან. ეს ჩვენთვის ძალიან ცუდია და მიუღებელი იქნება, – განაცხადა კახა კალაძემ.

იმის შესახებ, რომ კალაძისა და მილერის შეხვედრისას სომხეთისთვის ირანული გაზის მიწოდების საკითხზეც იყო საუბარი, ალექსეი მილერმა განმარტება რუსულ სააგენტოებთან გააკეთა. მილერმა თქვა, რომ გაზპრომი ირანთან ბუნებრივი აირის გაცვლითი ოპერაციების საკითხზე მუშაობს.

– დიახ, ეს თემა კალაძესთან შეხვედრაზე განვიხილეთ. ამ დროისთვის კი ირანელ კოლეგებთან გაზის გაცვლითი ოპერაციების თემაზე ვმუშაობთ, – განმარტა მილერმა.

მილერის გეგმაზე მსჯელობის პარალელურად, ირანთან მოლაპარაკებებს გეგმავს ქართული მხარეც. ენერგეტიკის მინისტრი ამბობს, რომ უახლოეს მომავალში ირანში ვიზიტს ქართული დელეგაცია აპირებს, სადაც, არ არის გამორიცხული, განხილვის ერთ-ერთი თემა საქართველოში ირანული გაზის შემოტანა იყოს.

– უახლოეს მომავალში ვგეგმავთ ვიზიტს ირანში, სადაც გაიმართება შეხვედრები და განხილული იქნება, რამდენად შესაძლებელი იქნება ამ მიმართულებით ჩვენი თანამშრომლობა სამომავლოდ, – აღნიშნა კალაძემ.

◆ ◆ ◆

ლუქსემბურგში გამართული შეხვედრა და ენერგეტიკის მინისტრის განცხადება განხილვის თემად იქცა საკანონმდებლო ორგანოშიც.

ყველაზე მეტი კითხვა ოპოზიციას აქვს.

– რას ნიშნავს ირანის გაზის ტრანზიტი აზერბაიჯანი-საქართველოს გავლით სომხეთში და რა სარგებელი აქვთ ამით საქართველოს? და რას ნიშნავს გაზის ჩანაცვლება თანხით? ხომ შეიძლება ისეთი ურთიერთობა შეიქმნას რუსეთთან, რომ რუსეთმა უბრალოდ ხელი აგვიქნიოს და თქვას, რომ თქვენ არაფერი არ გეკუთვნით? – განაცხადა თავისუფალი დემოკრატების წევრმა გია ცაგარეიშვილმა.

– საფრთხეები საერთოდ ყველაფერშია. არ არსებობს საკითხი, რომელშიც საფრთხე არ იდოს. მთავარია, მენეჯმენტს როგორ ახორციელებს ხელისუფლება ამ საფრთხეების პრევენციისათვის, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გია ვოლსკიმ.

◆ ◆ ◆

ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდიუმის წევრი პაატა ცინცაძე ამბობს, რომ საქართველოს მხრიდან ირანთან მოლაპარაკებების დაწყება კარგია, თუმცა საქართველოს ენერგომომარაგებაზე მკვეთრად უარყოფითად იმოქმედებს ტრანზიტის 10%-იანი მოგების დანაკლისი.

– მე არ ველოდები, რომ გაზის მიწოდება მთლიანად შეწყდება რუსეთიდან სომხეთში. რაღაც მოცულობები ამ გაზსადენში იქნება, მაგრამ ალბათ არა იმ რაოდენობით, როგორც ადრე იყო. თუ ეს მოცულობები შემცირდება, ჩვენ შეგვიმცირდება ეს შემოსავალი და ეს ჩვენთვის კარგი არ არის, – განმარტა პაატა ცინცაძემ.

განხორციელდება თუ არა ალექსეი მილერის გეგმა, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა კახა კალაძე გაზპრომის ხელმძღვანელთან შეხვედრების გაგრძელებას კვლავ აანონსებს.

**კომერსანტ.გე**

# განათლების სამინისტრო გამომცემლებს ისევ არ ელაპარაკება

გამომცემლობები განათლების სამინისტროს მათი პრობლემებისადმი უყურადღებობაში ადანაშაულებენ. მათთვის დღემდე უცნობია, სამინისტრო სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვის პროცესში გამომცემლობებს დააბრუნებს თუ არა.

გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი კახა კუდავა „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ნოემბერში შეხვედრის შემდეგ, სამინისტრო გამომცემლობების წარმომადგენლებს ინდივიდუალურადაც შეხვდა, თუმცა მას შემდეგ მათგან კომუნიკაცია არ ყოფილა.

კუდავას თქმით, გამომცემლობები სამინისტრომ ისევ დაივიწყა.

ანალოგიურს აცხადებს გამომცემლობა „დიოგენეს“ ხელმძღვანელი თამარ ლებანიძე. მისი თქმით, სამინისტრო გამომცემლობებს ნოემბრის შემდეგ აღარ შეხვედრია. შესაბამისად, მას არ აქვს ინფორმაცია, რას ფიქრობს სამინისტრო მათთან დაკავშირებით.

– განათლების სამინისტროს უნდა ჩამოეყალიბებინა უწყებათაშორისი კომისია, რომელიც გრიფირების ახალ სისტემაზე იმუშავებდა, თუმცა, მიმდინარეობს თუ არა სისტემაზე მუშაობა და საერთოდ შეიქმნა თუ არა ეს კომისია, არ ვიცი, – აცხადებს ლებანიძე.

რას გეგმავს განათლების სამინისტრო ამ მიმართულებით, შეიქმნა თუ არა უწყებათაშორისი კომისია და მუშაობს თუ არა სამინისტრო გრიფირების ახალ სისტემაზე, ამის გარკვევა „კომერსანტმა“ სამინისტროში ვერ შეძლო.

◆ ◆ ◆

სამინისტროსა და გამომცემელთა შეხვედრა ნოემბრის დასაწყისში შედგა. მაშინ გამომცემლობები აცხადებდნენ, რომ შეხვედრა გაცნობით, უფრო ზუსტად კი ფორმალურ ხასიათს ატარებდა. თუმცა, რა შედეგით დასრულდება პროცესი და სამინისტრო სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვის პროცესში გამომცემლობებს დააბრუნებდა თუ არა, უცნობი იყო.




გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი კახა კუდავა მაშინ „კომერსანტთან“ აცხადებდა, რომ განათლების სამინისტროსა და გამომცემლობებს შორის ნდობაა დაკარგული და მინისტრის მოადგილეებთან შეხვედრა საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში გაიმართა.

– განათლების სამინისტრო იმდენად შორს არის რეალობისგან, რომ კომენტარის გაკეთებაც კი გვიჭირს. ეს ფორმალური შეხვედრა იყო. ეს იყო შეხვედრა შეხვედრისთვის, – განაცხადა კუდავამ.

მისივე თქმით, გამომცემლებს სამინისტრო სასკოლო სახელმძღვანელოების დაბეჭდვის პროცესში ჩართვისთვის იმდენად არარეალურ პირობებს უყენებს, რომ მათი დაკმაყოფილება შეუძლებელია.

კერძოდ, სამინისტრო აპირებს, გამოაცხადოს ახალი კონკურსი იმისთვის, რომ 1-6 კლასებისთვის ახალი პროგრამით სასკოლო სახელმძღვანელოები დაიბეჭდოს. კუდავას თქმით, ამისთვის მათ 3 თვეს სთავაზობენ. ამ ვადაში კი წიგნების მომზადება შეუძლებელია.

◆ ◆ ◆

შეგახსენებთ, რომ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ პირველად, განათლების და მეცნიერების სამინისტრო გამომცემლებს 4 ნოემბერს შეხვდა. შეხვედრის მიზეზი პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძის სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვის პროცესში გამომცემლობების ჩართვის საკითხით დაინტერესება იყო.

კიღურაძემ კომიტეტის სხდომაზე განათლების სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენისას განაცხადა, რომ მსოფლიოში ყველგან წიგნებს გამომცემლობა გამოსცემს, ხოლო სტამბა მხოლოდ ტექნიკურ სამუშაოს ასრულებს.

ამის პასუხად განათლების მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილმა განაცხადა, რომ საკითხზე უწყებათაშორისი კომისია იმუშავებდა.

2013 წლის 8 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მაშინდელი მინისტრი, გიორგი მარგველაშვილი სკოლის მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემის ინიციატივით გამოვიდა.

სამინისტრომ, საბიუჯეტო ხარჯების დაზოგვის მიზეზით, გამომცემლობებთან თანამშრომლობა შეწყვიტა და სასკოლო სახელმძღვანელოების დაბეჭდვა რამდენიმე სტამბას დაუკვეთა. ტენდერი ბეჭდვაზე არ გამოცხადებულა. როგორც მარგველაშვილი განმარტავდა, მოლაპარაკებების საფუძველზე შეირჩა 4-5 სტამბა, შერჩევის კრიტერიუმი კი 3-ჯერ ნაკლები ფასი იყო.

გამომცემლობები „ინტელექტი“, „ლოგოს პრესი“, „დიოგენე“ და „არტანუჯი“ განათლების სამინისტროს საკუთრების უფლების დარღვევაში ადანაშაულებდნენ და 15 მილიონი ლარის ზარალის ანაზღაურებას ითხოვდნენ, თუმცა უშედეგოდ. მაშინ ისინი „კომერსანტთან“ განმარტავდნენ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება უარყოფითად აისახა გამომცემლობების არამარტო შემოსავლებზე, არამედ ზოგადად, მათ საქმიანობაზეც.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# 2016 წელს უძრავ ქონებაზე ფასები კიდევ შემცირდება




2016 წელს ფასები უძრავ ქონებაზე კიდევ უფრო დაეცემა. ამის შესახებ რიელტორთა ასოციაციის დამფუძნებელი ანა ჯალაღონია „კომერსანტთან“ აცხადებს. მისი თქმით, იანვარ-თებერვალში ფასების კლება გაგრძელდება, ეს შენარჩუნდება მარტ-აპრილის პერიოდში.

ჯალაღონიას განცხადებით, რამდენად დასტაბილურდება სიტუაცია გაზაფხულ-ზაფხულში, ამას ეკონომიკური სიტუაცია გვიჩვენებს, რომელიც პირდაპირი სახით აისახება როგორც მოთხოვნაზე, ისე მიწოდებაზე. ეს ტენდენცია შეეხება როგორც ახალ, ისე მეორად ბინებზე.

მისი თქმით, 2016 წელი უძრავი ქონების ბაზრისთვის სტაბილურად განვითარების წელი იქნება.

ასოციაციის დამფუძნებელი 2015 წელსაც აფასებს და აცხადებს, რომ მიმდინარე წელი უძრავი ქონების ბაზრისთვის საკმაოდ შოკური წელი იყო. კერძოდ, ძალიან ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, იყო საკმაოდ არასტაბილური წელი, რადგან ადგილი ჰქონდა კრიზისული ტიპის ჩავარდნებს.

მიუხედავად ამისა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2015 წლის ნოემბერში უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 3.0%-ით გაიზარდა და ქვეყნის მასშტაბით 44.123 ერთეული შეადგინა.

ამასთან, წლევანდელი ნოემბერი 2011-2013 წლების იმავე თვეებთან შედარებით ცალსახად ზრდით გამოირჩევა: 2011 წლის ნოემბერთან ზრდა 20.1%-ია, 2012 წლის ნოემბერთან 12.5%, ხოლო 2013 წლის ნოემბერთან – 3.4%.

ჯალაღონია ნოემბერში უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობის ზრდასაც აფასებს და აცხადებს, რომ ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ეს არის ბინებზე ფასების უფრო მეტად კლება, ლარის დევალვაცია და დოლარის კურსის თამაშის შემდეგ იპოთეკურ სესხებზე პროცენტის დაცემა.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# თბილისის ბიუჯეტიდან საახალწლოდ 1,5 მილიონი დაიხარჯება



როგორი იქნება თბილისში საახალწლო ღონისძიებები? როგორც უკვე ცნობილია, დედაქალაქი ახალ წელს, ბოლო წლებში პირველად, ცენტრალურ ქუჩებზე ახალი განათებებით ხვდება.

მერიის ინფორმაციით, საახალწლო ღონისძიებები თბილისში 25 დეკემბრიდან დაიწყება და 3 იანვრამდე გასტანს.

ვარდების რევოლუციის მოედანი 10 დღით საახალწლო ქალაქად გადაიქცევა. სტუმრებს საშუალება ექნებათ, საგანგებოდ მოწყობილ და მორთულ სახლებში, გასინჯონ საახალწლო ტკბილეული, შეიძინონ სუვენირები, ნაძვის ხის სათამაშოები და ხელნაკეთი ნივთები. საახალწლო ქალაქში, ყოველდღიურად სხვადასხვა ჟანრის კონცერტები და დიჯეების ფესტივალი გაიმართება. საახალწლო ქალაქში მოძრაობისა და პანტომიმის თეატრის მსახიობები პერფორმანსებს, მსვლელობებსა და კარნავალებს მოაწყობენ.

25 დეკემბერს – დათო ევგენიძის საავტორო, ხოლო 3 იანვარს თბილისის მერიის ბიგბენდის საახალწლო კონცერტები გაიმართება.

საახალწლო ქალაქი დატვირთული იქნება სპორტული და საბავშვო აქტივობებით. ქალაქში დამონტაჟებულ ყინულის მოედანზე ყოველდღიურად გაიმართება მოციგურავეების შოუები და სპორტული შეჯიბრებები. მსურველებს საშუალება ექნებათ თვალყური ადევნონ ქუჩის კალათბურთის მატჩებს, სხვადასხვა შოუს ბატუტზე და პარკურს.

ქალაქის მცირეწლოვანი სტუმრებისთვის კონცერტებს „ბასტი-ბუბუსა“ და „ბზიკების“ სტუდიის ბავშვები გამართავენ. მოეწყობა თოჯინური თეატრების წარმოდგენები და ფოტო გადაღების კუთხეები. ბავშვების განწყობაზე სხვადასხვა ზღაპრის გმირები იზრუნებენ.

საახალწლო ქალაქში დროში მოგზაური სანტა იცხოვრებს. მოეწყობა პლანეტარიუმი, სადაც პატარა გამომგონებლების ნამუშევრები გამოიფინება. 10 დღის განმავლობაში საახალწლო ქალაქი ყველა ასაკის სტუმარს უმასპინძლებს.

31 დეკემბრის ღამეს თავისუფლების მოედანზე საახალწლო გალაკონცერტი გაიმართება.

მიშა მდინარაძის საავტორო პროექტი ქართულ-ევროპული, კლასიკური და თანამედროვე მუსიკის ერთობას წარმოადგენს. სამი ნაწილისაგან შემდგარი კონცერტი სპეციალურად პროექტისთვის შექმნილ საახალწლო კომპოზიციებს, საოპერო და საესტრადო შემსრულებლების დუეტებს და საშობაო ალილოს აერთიანებს. თავისუფლების მოედანზე შექმნილ ჯადოსნურ ატმოსფეროს მოცეკვავეები ვალსის ცეკვით გაალამაზებენ.

სტუმრები 2016 წელს ტრადიციული მრავალჟამიერის ფონზე შეეგებებიან. საახალწლო კონცერტში მონაწილეობას 200-ზე მეტი მუსიკოსი მიიღებს, მათ შორის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი, საოპერო და ესტრადის მომღერლები და მოცეკვავეები.

10 დღის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად ქალაქის ბიუჯეტიდან 1.499.000 ლარის გამოყოფა იგეგმება.

თბილისელებისა და ქალაქის სტუმრებისთვის საახალწლო განწყობას წელს 700- ზე მეტი მუსიკოსი, მსახიობი და შემსრულებელი შექმნის.

**კომერსანტი**

# ირაკლი დოკვაძე უვადო შიმშილობას იწყებს

გულიკო ბალაძე



პატიმარი ირაკლი დოკვაძე დღეს, 14 დეკემბერს, უვადო შიმშილობას იწყებს.

როგორც ირაკლი დოკვაძე აღნიშნავს, ის აქამდე ჩუმად იყო, რადგან ახალი ხელისუფლების პირობებში საქმის ხელახალი განხილვის იმედი ჰქონდა.

ირაკლი დოკვაძის საჩივარი ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო შევიდა სასამართლოში, 6 თვის შემდეგ კი (ახლახან) უზენაესმა სასამართლომ (მოსამართლეების მეიშვილ-შავლიაშვილ-სილაგაძის შემადგენლობით) უარი უთხრა განხილვაზე.

ახლადაღმოჩენილი გარემოება საქმეში ერთ-ერთი დაზარალებულის, ელზა გულიაშვილისა და მისი ადვოკატის, დავით დადიანის განცხადებაა.

განცხადების მიხედვით, ირაკლი დოკვაძეს მისთვის არ დაურტყამს ანუ მას არ ჩაუდენია ის შემზარავი დანაშაული, რომელიც ბრალად დასდეს და 30 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

ირაკლი დოკვაძე საზოგადოებასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართავს.

– წარმოდგენილი გაქვთ პატიმრის სულიერი მდგომარეობა, რომელიც ჩაუდენელ დანაშაულს აღიარებს, ინანიებს და შეწყალებას ითხოვს?! უდანაშაულო ადამიანის შეწყალება ბოროტება და ცინიზმია! დამნაშავეთა შეწყალებას კი მივესალმები, უფრო მეტი ლმობიერება უნდა გამოიჩინოთ სააკაშვილის ციხე-წამება-არაადამიანური მოპყრობაგამოვლილ პატიმართა მიმართ, – ნათქვამია მიმართვაში.

ირაკლი დოკვაძისთვის ცინიზმია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები მეიშვილი, შავლიაშვილი და სილაგაძე 6 თვის ფიქრისა და სჯა-ბაასის შემდეგ ვერ ხედავენ სასამართლო პროცესის გამართვის მიზეზს და სარჩელს უკან უბრუნებენ.

– აბა, სხვაგვარად როგორ იხსნიან კუბლაშვილის გუნდის წევრებს – ეკა არეშიძესა და მაია თეთრაულს, – აცხადებს ირაკლი დოკვაძე.

პატიმრის თქმით, მას მართლაც რომ ჰქონდეს დანაშაული ჩადენილი, უკვე თავისუფალი უნდა იყოს პატიმრობიდან.

– მოვითხოვ ამიხსნან, რატომ არიდებენ თავს და არ მითვლიან 2004 წლის 9 თებერვლის უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინებას ჩემი რეაბილიტაციისა და კომპენსაციის შესახებ, რომელსაც ცხრა მოსამართლე აწერს ხელს ბატონი მერაბ ტურავას თავმჯდომარეობით და მათ შორის ქალბატონი ნინო გვენეტაძეცაა, – კითხულობს ირაკლი დოკვაძე,

მას ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებულ საქმეში მისი რეაბილიტაციისა და კომპენსაციის შესახებ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების უგულებელყოფის გზით მიუსაჯეს 30 წელი.

– დარწმუნებული ვარ, პოლიტიკურ ძალად აღიარებულ დამნაშავეებთან კოაბიტირებულ ხელისუფლებას არ აწყობს ჩემი სასამართლო პროცესის ჩატარება, რადგან თვალნათლივ გამოჩნდება, როგორ განაჩენზე უწევთ დღემდე თვალების დახუჭვა, – აცხადებს ირაკლი დოკვაძე.

მისი აზრით, იმავე მიზეზით არ ხდება 200-ზე მეტი პოლიტპატიმრად აღიარებული ადამიანის სასამართლოს მიერ უდანაშაულოდ ცნობა და მათი რეაბილიტაცია.

– არის კიდევ ერთი, ხელისუფლებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი მიზეზი, თავისუფალი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ კიდევ ერთხელ რომ გავმართლდე და მივიღო რეაბილიტაცია, დაისმება ერთი შეხედვით რიტორიკული კითხვა: როგორ სახელმწიფოში მიცხოვრია ამ 23 წლის განმავლობაში, სადაც ორჯერ დამაპატიმრეს, პირველად სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მომისაჯეს, მეორედ კი – 30 წელი. წლების შემდეგ ორივე შემთხვევაში სასამართლომ უდანაშაულოდ მცნო და პატიმრობაში გატარებული 18 წლის რესტიტუცია რა ოდენობის კომპენსაციით უნდა განისაზღვროს?! – აცხადებს ირაკლი დოკვაძე.

ის ამბობს, რომ, მიუხედავად ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობისა, 14 დეკემბრიდან იძულებულია, მიმართოს პროტესტის უკიდურეს ზომას, შიმშილობას.

– დღემდე ჩემი დუმილი, რომელიც ღარიბაშვილის ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობით იყო განპირობებული, ზოგიერთმა უნამუსო ადამიანმა სიბრიყვედ ჩამითვალა. მე დღეს ბრძოლას ვიწყებ და მივმართავ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა ავტორიტეტულ ორგანიზაციებს, – აცხადებს პატიმარი.

ირაკლი დოკვაძე შიმშილობის შედეგად შესაძლო ლეტალურ შედეგებზე პასუხისმგებლობას დღევანდელ ხელისუფლებას აკისრებს.

# ვახტანგ ყოლბაია: „ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა აფხაზეთში სერიოზულ გავლენას მოახდენს“



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ ვახტანგ ყოლბაიას შეფასებით, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შემოღება აფხაზეთში ძალიან სერიოზულ გავლენას მოახდენს. ამის შესახებ ყოლბაიამ „მეორე არხის“ ტოკშოუ „არგუმენტების დროში“ განაცხადა.

– ევროპული მომავალი აფხაზებისთვის უცხო არაა. ისინი ძალიან კარგად აცნობიერებენ თუ რა სიკეთე მოაქვს ევროინტეგრაციას. ამაზე სოხუმში ხმამაღლა არ საუბრობენ. რუსეთის წნეხის შიშით ეს თემა პოლიტიკურ ელიტაში ჩახშობილია. ძალიან დიდი დაკვირვება არ არის საჭირო იმის დასანახად, თუ რამდენად უნდათ მათ ევროინტეგრაცია. ყველას აინტერესებს თავისი ოჯახის, თავისი შვილების ბედი, ჯანდაცვის სიკეთეები, ევროპაში განათლების მიღება. ვფიქრობ, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შემოღება ძალიან სერიოზულ გავლენას მოახდენს აფხაზეთში, – აცხადებს ყოლბაია.

მისივე თქმით, აფხაზეთში ძალიან მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, იზრდება უკმაყოფილება.

– აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებისთვის ძალიან საშიშია აფხაზების თბილისისკენ შემობრუნების ტენდენცია. ალბათ, გსმენიათ, რომ აფხაზები ხშირად კბილის ამოსაღებადაც კი თბილისში დადიან, ესწრებიან საფეხბურთო მატჩებს. ამ ყველაფერს ე.წ. ხელისუფლების მხრიდან უკვე ისეთი პროტესტი აღარ მოსდევს, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ე.ი. აფხაზეთის საზოგადოებაში რაღაც იცვლება, – აღნიშნა ყოლბაიამ.

გარდა ამისა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულების განცხადებით, სოხუმის ე.წ. პარლამენტში, ეროვნებით სომეხ დეპუტატთა ჯგუფმა რკინიგზის აღდგენის თემა წამოსწია, თუმცა აფხაზების მხრიდან სერიოზული პრობლემები შეექმნათ. როგორც ყოლბაია აცხადებს, ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად, საუბარი იყო ზღვის შელფის ამოქმედებაზეც, რასაც „როსნეფტი“ ძალიან ცდილობს. მისივე თქმით, დასმულია მიწების პრივატიზაციის საკითხიც.

– რუსეთიდან პრაქტიკულად შეფერხებულია სოხუმისთვის ფულის ნაკადის მიწოდება. რკინიგზის თემა ნამდვილად არაა სერიოზული, მოსკოვი კარგად აცნობიერებს, რომ თბილისის გარეშე რკინიგზას ვერ გაიყვანს. რა თქმა უნდა, ხაჯიმბა ვერ მიიღებდა მკვეთრ გადაწყვეტილებებს თავისი წინასაარჩევნო დაპირებების შესასრულებლად, რადგან ეს სოხუმზე აღარ არის დამოკიდებული.

მათი შესრულების ბერკეტები არის არა სოხუმში, არამედ მოსკოვში. მოვლენების ამჟამინდელი განვითარებით მოსკოვი, როგორც ჩანს, ჯერჯერობით უკმაყოფილოა. სოხუმში ხაჯიმბა ვერ მისცემს თავის თავს იმის უფლებას, რომ ყველაფერი ზუსტად ისე გააკეთოს, როგორც მოსკოვს უნდა. გამორიცხული არაა მოსკოვმა კვლავ გამოიყენოს ხელების გადაგრეხის პოლიტიკა ხაჯიმბას წინააღმდეგ, ვგულისხმობ მის შეცვლას. ამის ინიციატორი კი შესაძლოა ისევ აფხაზეთის საზოგადოება იყოს. ძალიან ფრთხილი ოპტიმიზმით უნდა შევხედოთ იმ საკითხს, რომ აფხაზები ერთბაშად დაიძვრებიან თბილისისკენ. საჭიროა დრო, რათა მათ გააცნობიერონ მოსკოვის ნამდვილი დამოკიდებულება სოხუმის მიმართ. ეს პროცესი კი ნელ-ნელა მიმდინარეობს, – ამბობს ვახტანგ ყოლბაია.

**ინტერპრესნიუსი**

# მოწმეთა დაკითხვის წესზე ახალი კანონპროექტი შეიმუშავეს



მოწმეთა დაკითხვის წესთან დაკავშირებით „ადვოკატთა ასოციაციამ“ საკუთარი კანონპროექტი შეიმუშავა.

იურისტები დაცვის მხარისთვის უფლებების გაზრდას ითხოვენ. პროექტის მიხედვით, ადვოკატის უფლებამოსილება 20-ზე მეტ მუხლშია გაწერილი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების დოკუმენტი ადვოკატებს ზაზა ხატიაშვილმა გააცნო. შეხვედრას ესწრება დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი, რომელმაც, ხატიაშვილის ინფორმაციით, შესაძლოა, კანონპროექტის პარლამენტში ინიცირება მოახდინოს.

„გამოტანილი განაჩენი, რომელიც პირველ ინსტანციაში შედის, გამოცხადებისთანავე უნდა გაუქმდეს. მოწმის ადვოკატს უნდა შეეძლოს, გამოითხოვოს მტკიცებულებები. უნდა განისაზღვროს ადვოკატის უფლებები. გაეროს პრინციპები ადვოკატის შესახებ საქართველოში უნდა დაინერგოს“, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

**პირველი რადიო**

# მოსკოვში ოპოზიციის მორიგი აქცია დაარბიეს



მოსკოვში პოლიციამ ოპოზიციის მორიგი აქცია დაარბია.

აქცია კონსტიტუციის დღეს მიეძღვნა. დაკავებულ იქნა 30-მდე აქტივისტი, რომლებიც შემდგომში გაათავისუფლეს.

დაკავებულთა შორის აღმოჩნდნენ რუსეთის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი გიორგი სატაროვი, პარტია იაბლოკოს ლიდერი მიტროხინი, მემარჯვენე ძალების კავშირის ლიდერი გოზმანი, მოძრაობა ადამიანის უფლებებისთვის ლიდერი ლევ პონომარიოვი და სხვა ცნობილი პოლიტიკოსები. პოლიცია ცდილობდა, მანიფესტანტები მიწისქვეშა გადასასვლელში შეერეკა. კანონის დამცველები აგრესიულად და უხეშად იქცეოდნენ, თუმცა მანიფესტაცია არ იყო მრავალრიცხოვანი. მისი მონაწილენიც აგრესიულობით არ გამოირჩეოდნენ.



# ხანძარი ვორონეჟის ფსიქიატრიულში

ვორონეჟის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაჩენილი ხანძრის შედეგად 23 ადამიანი დაიღუპა.

ყველა მათგანი საავადმყოფოს პაციენტია.

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მიმდინარეობს გამოძიება.

ხანძრის გამოწვევის პირველი ვერსიებია მოკლე ჩართვა ან პერსონალის თუ პაციენტების მიერ სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# თბილისის მერიასთან აქცია გაიმართა



თბილისის მერიასთან, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიმდინარე 24-სართულიანი შენობის მშენებლობა გააპროტესტეს. აქციის მონაწილეების თქმით, ეს ტერიტორია ისედაც ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზეა და ახალი მაღალსართულიანი კორპუსებით სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდება. მათ სახლებს არ აქვს ეზოები, გამწვანება და სახლამდე მანქანით მისვლაც კი შეუძლებელია.

– ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას იმისათვის, რომ თბილისის ერთ-ერთი ყველაზე გადატვირთული უბანი, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია, საბოლოოდ არ გადაიქცეს ეკოლოგიური უბედურების ზონად. იქ ისედაც ძალიან ბევრი მრავალსართულიანი სახლია და ცათამბჯენების ადგილი ნამდვილად არ არის. ჩვენი მოთხოვნაა 24-სართულიანის ნაცვლად, 12 სართულამდე იქნეს ჩამოყვანილი მშენებარე კორპუსის სიმაღლე, – განაცხადა უფლებადამცველმა ლაშა ჩხარტიშვილმა.

აქციის ორგანიზატორები მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში პროტესტის გაგრძელებას აპირებენ.

**მედიანიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# პუტინი: „ჩვენ ასადსაც ვეხმარებით და თავისუფალ არმიასაც“

## რუსული პოლიტიკა იცვლება

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთის პოლიტიკა სირიაში იცვლება. თუ ადრე კრემლი ტერორისტად თვლიდა ყველას, ვინც ასადის წინააღმდეგ იარაღით იბრძვის, ახლა ეს შეიცვალა.

ნა, რომ აშშ-მ ქმედითი ანტიტერორისტული კოალიციის შექმნისთვის ბევრი რამ გააკეთა.

– ჩვენ მზად ვართ, ამ კოალიციასთან ვითანამშრომლოთ, – განაცხადა მან.



რუსეთი პარტნიორად მიიჩნევს სირიის თავისუფალ არმიას, რომელსაც მხარს აშშ უჭერს.

– სირიის თავისუფალ არმიას უკვე გადავეცით იარაღი, სამხედრო ტექნიკა. ჩვენმა სამხედროებმა ამ ფორმირებასთან ერთად ტერორისტების წინააღმდეგ უკვე რამდენიმე ერთობლივი ოპერაციაც ჩაატარეს, – თქვა პუტინმა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთის პრეზიდენტის განცხადება დაკავშირებულია აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ ქერის ვიზიტთან მოსკოვში, რომელიც 15 დეკემბერს შედგება.

– მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩემი აზრით, პუტინთან შეთანხმება მოხერხდება, – თქვა ქერიმ.

თავად ამერიკელებთან შეთანხმებისათვის მზადაა. მან აღიარა, რომ აქამდე რუსული ავიაცია სირიის თავისუფალი არმიის პოზიციებსაც ბომბავდა.

– ეს შეცდომა იყო, – თქვა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშ-

პუტინმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთ-ირან-ასადი-ერაყის კავშირი ამერიკელების წინააღმდეგ მიმართული არაა.

– პირიქით, ჩვენ მზად ვართ, ამერიკელებს ისლამური სახელმწიფოს განადგურებაში დავეხმაროთ, რადგან ეს რუსეთის ინტერესებშიცაა, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

ამავე დროს, პუტინმა კვლავ გამოთქვა პრეტენზიები თურქეთის მიმართ.

– თურქეთმა უკანონოდ შეიყვანა ჯარი ერაყში! ეს საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა, – თქვა მან.

უკრაინაზე საუბრისას რუსეთის პრეზიდენტმა კვლავ გაიმეორა, რომ დონბასის პრობლემის მოგვარების გზა მინსკის შეთანხმებებზე გადის. მან უკრაინელები ამ შეთანხმებების დარღვევაში დაადანაშაულა.

– პეტრო პოროშენკო ამერიკელების კლიენტია! მოვუწოდებთ ამერიკელებს, ამ კაცზე გავლენა მოახდინონ და აიძულონ, მინსკის შეთანხმებები დაიცვას! – თქვა პუტინმა.

# რუსეთის გემმა თურქულ სეინერს ესროლა

## ინციდენტი ეგეოსის ზღვაში



გუშინ, 13 დეკემბერს, რუსულმა საგუშაგო ხომალდმა „სმეტლივიმ“ ეგეოსის ზღვაში თურქულ სეინერს ცეცხლი გაუხსნა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, რომ ცეცხლი გემების შეჯახების თავიდან ასაცილებლად გახსნეს.

მათივე მტკიცებით, სეინერი რუსულ გემთან კავშირზე არ გამოდიოდა.

– 09:03 საათზე ათასი მეტრის დაშორებით აღმოჩენილ იქნა თურქული გემი, რომელიც ღუზაჩაშვებულ რუსულ გემ „სმეტლივის“ მარჯვენა ბორტიდან უახლოვდებოდა. „სმეტლივის“ არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, თურქული სეინერი რუს მეზღვაურებთან რადიოკონტაქტზე არ გამოვიდა და არ პასუხობდა სემაფორის სპეციალურ ვიზუალურ ნიშნებსა და სასიგნალო რაკეტებს, – განაცხადეს თავდაცვის უწყებაში.

მათივე ცნობით, მას შემდეგ, რაც თურქული სეინერი რუსულ გემს 600 მეტრის დაშორებით მიუახლოვდა, გემების შეჯახების თავიდან აცილების მიზნით გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, რის შემდეგაც თურქულმა გემმა კურსი მკვეთრად იცვალა ისე, რომ რუს მეზღვაურებს კვლავ არ დაჰკონტაქტებია.

ინციდენტი ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში, ბერძნულ კუნძულ ლემნოსიდან 22 კმ-ის დაშორებით მოხდა.

მომხდართან დაკავშირებით რუსეთის თავდაცვის სამინისტროში თურქეთის სამხედრო ატაშე დაიბარეს.

# საუდის არაბეთში პირველი დეპუტატი-ქალი აირჩიეს

საუდის არაბეთში მუნიციპალური არჩევნები ჩატარდა. ქალაქ მაკკას დეპუტატად სალმა ალ-ატაბი აირჩიეს.



საუდის არაბეთის აწ განსვენებულმა მეფემ აბდალამ 2011 წელს ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა.

ალ-ატაბი პირველი ქალია, რომელმაც მუნიციპალურ არჩევნებში გაიმარჯვა.

არჩევნებში მონაწილეობას 197 ქალი იღებდა, დეპუტატი კი მხოლოდ ალ-ატაბი გახდა.

# მოლდოვა დნესტრისპირეთიდან რუსული ჯარის გაყვანას მოითხოვს

აშხაბადში ჩატარდა კონფერენცია „ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, საერთაშორისო თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და მშვიდობისათვის“.

მასზე სიტყვით მოლდოვის პრეზიდენტი ტიმოფტი გამოვიდა.

მან დნესტრისპირეთიდან რუსული არმის გაყვანა მოითხოვა. ტიმოფტიმ ხაზი გაუსვა, რომ რუსი მშვიდობისმყოფელები ოკუპანტებად გადაიქცნენ და არა მშვიდობას, არამედ სეპარატისტულ რეჟიმს იცავენ.

– აუცილებელია დნესტრისპირეთში საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტის შემოყვანა, – განაცხადა ტიმოფტიმ.

# აშშ გერმანიას ტერორიზმთან ბრძოლის გააქტიურებას სთხოვს



აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა თავის გერმანელ კოლეგა ურსულა ფონ დერ ლინდენს წერილი გაუგზავნა.

კარტერი სთხოვს მას, სირიაში დამატებითი კონტინგენტი გაგზავნოს, აგრეთვე ტერორისტების პოზიციებზე საჰაერო დარტყმები განახორციელოს.

გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ტერორიზმთან ბრძოლის გააქტიურებისთვის მზადყოფნა გამოთქვა. მან აღნიშნა, რომ საამისოდ გერმანიას უფრო მრავალრიცხოვანი და სრულყოფილი შეიარაღებული ძალები დასჭირდება.

– არმიის გაძლიერებისთვის აუცილებელია სახსრები, – თქვა ურსულა ფონ დერ ლინდენმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# დონალდ ტრამპს თავს არწივი დაესხა




მოშინაურებული არწივი თავს დაესხა ამერიკელ ბიზნესმენ-მილიარდერ დონალდ ტრამპს, რომელიც ამერიკის პრეზიდენტობისთვის ბრძოლაშია ჩართული. ინციდენტი ფრინველთან ერთად ფოტოსესიის დროს მოხდა, რომელსაც ჟურნალი ტაიმი მართავდა.

სოციალურ ქსელში გამოჩნდა ამ ფოტოსესიის ამსახველი ვიდეორგოლი. მასში ჩანს, თუ როგორ შეუტია ორჯერ არწივმა ტრამპს. საბედნიეროდ, ბიზნესმენი არ დაშავებულა.

ფოტოგრაფ მარტინ შელერის ჩანაფიქრით, თავდაპირველად 27 წლის არწივი, სახელად ბიძია სემი, პოლიტიკოსის გაწვდილ ხელზე უნდა მჯდარიყო, მაგრამ ამის ნაცვლად ფრინველი მილიარდერის ვარცხნილობით დაინტერესდა. შემდეგ ბიძია სემი პოლიტიკოსის სიახლოვეს, საწერ მაგიდაზე უნდა მჯდარიყო, მაგრამ არწივმა მისთვის ხელში ჩანისკარტება ცადა.

– ეს ჩიტი, მართალია, ლამაზია, მაგრამ – ძალიან სახიფათო, – დაასკვნა ამ შემთხვევის შემდეგ დონალდ ტრამპმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ზაპოროჟიეში სეპარატისტები დააპატიმრეს




უკრაინის უშიშროების სამსახურმა ზაპოროჟიეში სეპარატისტების ჯგუფი დააპატიმრა. ისინი „ზაპოროჟიეს სახალხო რესპუბლიკის“ გამოცხადებას აპირებდნენ.

დაგეგმილი იყო შეკრების ჩატარება, სადაც მისი ორგანიზატორები ზაპოროჟიეს ოლქისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას მოითხოვდნენ, შემდეგ კი ამას მასობრივი აქციები უნდა მოჰყოლოდა.

შეკრების ორგანიზატორები მონაწილეებს აქციაში მონაწილეობისათვის 2.000 გრივნას შეჰპირდნენ, თუმცა ეს ფული არ გადაუხადეს.

როცა შეკრების მონაწილეებმა ამის გამო პროტესტი გამოთქვეს, მათ განაცხადეს, რომ აქცია გადაიდო.

უკრაინის უშიშროების სამსახურის შეფის, გენერალ გრიცაკის ცნობით, უახლოეს ხანებში მსგავსი პროვოკაციების გააქტიურებაა მოსალოდნელი. ეს შეეხება როგორც დონბასს, ასევე მთელ უკრაინას.

– სეპარატისტები შეეცდებიან, მინსკის შეთანხმებათა დარღვევა ჩვენ გადმოგვაბრალონ და საომარი მოქმედება დაიწყონ. მათი მიზანი დონბასში რუსული არმიის დამატებითი ნაწილების შემოყვანაა, – ამბობს გრიცაკი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

*თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე იყო ცნობილი. დღეს თოდუების გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელიც წარჩინებით მიჰყვება თავის საქმიანობას და ჰყავს ათასობით მადლიანი პაციენტი.*

<u>ლამარა თოდუა:</u>

**„კანის გაწმენდას ვაკეთებ ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. ჩემი მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა. ვკურნავ „პრიჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტს. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას. ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის. ვარჩენ ნაწოლებს, თმის ჩაბრუნებას. ჩემი მალამოებით სწრაფად ხორცდება ნებისმიერი ხარისხის დამწვრობა ისე, რომ ნაწიბური და ლაქა არ რჩება. ვარჩენ ხელისა და ფეხის ოფლიანობას. მკურნალობის შედეგი გარანტირებულია“.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ **593-44-58-65; 218-46-08** (ოფისი).
**მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.**

# განცხადებები

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# გერმანია და პოლონეთი ისევ ერთად მოხვდნენ

## ევროპა დაჯგუფდა

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატს საფრანგეთი უმასპინძლებს. ტურნირზე მონაწილე გუნდების რაოდენობა ერთი თვის წინ გაირკვა, ხოლო შაბათს მათი წილისყრა შედგა.

პარიზში გამართულ წილისყრაზე ჯანი ინფანტინომ ვეტერან ფეხბურთელებთან ერთად 24 გუნდი 6 კალათაში გადაანაწილა.

**ა ჯგუფი:** საფრანგეთი, რუმინეთი, შვეიცარია, ალბანეთი

**ბ ჯგუფი:** ინგლისი, რუსეთი, უელსი, სლოვაკეთი

**ც ჯგუფი:** გერმანია, პოლონეთი, უკრაინა, ჩრ.ირლანდია

**დ ჯგუფი:** ესპანეთი, ხორვატია, თურქეთი, ჩეხეთი

**ე ჯგუფი:** ბელგია, იტალია, ირლანდია, შვედეთი

**ფ ჯგუფი:** პორტუგალია, ავსტრია, ისლანდია, უნგრეთი

ევროპის ჩემპიონატი 10 ივნისს საფრანგეთისა და რუმინეთის დაპირისპირებით გაიხსნება. ფინალური შეხვედრა კი 10 ივლისს გაიმართება.

# ფაჩულიას მე-14 ორმაგი დუბლი



ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მიმდინარე სეზონში მე-14 ორმაგი დუბლი შეასრულა ზაზა ფაჩულიამ.

ქართველ კალათბურთელს ორმაგ დუბლი უკვე მესამე პერიოდში ჰქონდა. აღნიშნული მეოთხედის დასრულებამდე 4:26 წუთით ის რეიმონდ ფელტონმა შეცვალა და მას მერე მოედანზე არ გამოჩენილა.

შესაბამისად, ზაზამ მხოლოდ 23 წუთი ითამაშა. მეტოქე კი ის ვაშინგტონი გახლდათ, რომელიც 6 დეკემბერს ამერიკის დედაქალაქში 116:104 დაამარცხეს. ამჯერად ვიზარდსმა დალასელებს რევანში აუღო და ტეხასურ მატჩში 114:111 დაამარცხა. მასპინძლებმა დასკვნითი პერიოდი 15 ქულით მოიგეს, მაგრამ მოსაგებად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რაკი მესამე მეოთხედი ჩააგდეს. აღნიშნულ 12-წუთეულში ვაშინგტონელებმა დალასს ყველაფერში აჯობეს და 39:22 იძალეს.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 23 წუთში 8-დან 5 ორქულიანი ჩააგდო. საბოლოოდ ზაზამ 10 ქულა, 12 მოხსნა და 3 პასი მიითვალა.

14 მოგებითა და 11 მარცხით დალასი დასავლეთ კონფერენციაში მემფისთან მე-5-6 ადგილებს იყოფს. ამ გუნდებს გადაასწრო ლოს ანჯელეს კლიპერსმა, რომელსაც 14 მოგება და 10 მარცხი აქვს.

მომდევნო მატჩი ფაჩულიას გუნდს ხვალ დილით დალასში ფინიქსთან ელის.

# კალათბურთი: ქუთაისი ლიდერია

## სოხუმმა და ბათუმმა წააგეს



გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**სოხუმი – ოლიმპი 69:70**

**(16:10; 15:20; 18:16; 20:24)**

მატჩი სოხუმელებმა ტრადიციულად მძლავრად დაიწყეს და მცირედით, თუმცა საწყის პერიოდში ლიდერობდნენ. პირველ შესვენებაზე ოლიმპი 6-ქულიანი ჩამორჩენით გავიდა, თუმცა მეორე პერიოდში თამაში გამოასწორა და დიდი შესვენებისთვის დეფიციტი მინიმუმამდე შეამცირა – 30:31.

თანაბარი ბრძოლა ბოლო წუთებამდე გაგრძელდა. ბოლო პერიოდში სოხუმელებს ჰქონდათ შანსი, მატჩის ბედი სათავისოდ გადაეწყვიტათ, თუმცა 7-ქულიანი ლიდერობა ვერ შეინარჩუნეს. მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე სერგო ათუაშვილის ზუსტმა სროლამ სოხუმი 55:48 დააწინაურა, მაგრამ ოლიმპის მწვრთნელის შერჩეულმა სწორმა ტაქტიკამ და მოთამაშეთა საშემსრულებლო ოსტატობამ მატჩის ბედი შეატრიალა.

ლევან მასხულიას სამქულიანს რევაზ როგავამ ზედიზედ მოპოვებული 5 ქულა მიაბა, ხოლო ოსტინ სტიდის სწრაფი შეტევით ჩატენილი ბურთის შემდეგ უკვე ოლიმპი დაწინაურდა – 56:55. რასაც როგავამ და სტიდმა კიდევ 4 ქულა მიუმატეს და კაზანჯიანის გუნდმა 3-წუთიანი მონაკვეთი 13:0 მოიგო.

და მაინც, ბოლო წუთზე ოლიმპელებს წაგების რეალური საფრთხე დაემუქრათ, როცა მილან ოლუიჩზე სოხუმელთა ტაქტიკურად აღებული ჯარიმის შემდეგ სერბმა ორივე სროლა სროლა ააცილა და 69:70 ჩამორჩენილ სოხუმს შესატევად 14 წამი დარჩა. გიორგი ჯგერენაიას პოტენციურად გამარჯვების მომტანს სროლას ოლიმპელმა ჯერემი ბაინუმმა დააფარა და მატჩიც დასრულდა.

ბაინუმი 16 ქულით ოლიმპის ბომბარდირი გახდა და ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა. 12-12 ქულა დააგროვეს რევაზ როგავამ და ოსტინ სტიდმა. სოხუმში 23 ქულით და 7-7 მოხსნა-პასით ლევან ფაცაცია გამოირჩა.

**მგზავრები – ბათუმი 74:73(ოტ)**

**(19:14; 11:13; 19:20; 15:17; 10:9)**

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა დამატებით დროში, 1 ქულით, ბოლო წამზე ჩაგდებული სამქულიანით მოიგეს. გადამწყვეტი ბურთი გიორგი ორმოცაძემ სირენის თანხლებით ჩააგდო და მგზავრებმა საგმირო გამარჯვების მოპოვება შეძლეს – 74:73.

მთელი თამაში თანაბრად მიმდინარეობდა. 4-5 ქულა იყო ლიდერობის ის მაქსიმუმი, რომელსაც გუნდები იშვიათად აღწევდნენ, თუმცა დროებით. ბოლო პერიოდი კი სულაც ქულაქულაში წარიმართა და გამარჯვებულის ვინაობა ძირითად დროში ვერ გაირკვა.

ოვერტაიმიც ძალიან დაძაბულად, ქულაქულაში წარიმართა. ყველაზე დიდი სხვაობა დამატებითი დროის დასრულებამდე 40 წამით ადრე დაფიქსირდა, როცა გიორგი ორმოცაძემ ორივე საჯარიმო ჩააგდო და მგზავრები 71:68 დააწინაურა.

ბათუმელთა მორიგი შეტევა ირაკლი მიქელაძემ ზუსტი სამქულიანით დააგვირგვინა და უკვე მერამდენედ, ანგარიში გათანაბრდა – 71:71 დასრულებამდე 37 წამით ადრე.

წუთშესვენების შემდეგ მგზავრებმა ბურთი გვერდითი ხაზიდან შემოიტანეს, რაც კახა ჯინჭარაძეს ბათუმელთა უკრაინელმა ლეგიონერმა, ლეონიდ სტეპანიშინმა არ დაანება. უკრაინელმა ჩაჭრილი ბურთი მიქელაძეს გადააწოდა და ამ უკანასკნელმა ბათუმელები საფინალო სირენამდე 30 წამით ადრე დააწინაურა – 73:71.

14 წამით ადრე რენსომმა გაუმართლებლად შეუტია სამქულიანი ზონიდან, რადგან ამით მეტოქეს შეტევისთვის დრო დაუტოვა. თუმცა თბილისელებს გაუმართლათ და აცილებული ბურთო მოხსნეს. ბერიშვილის გუნდმა ბურთი გაათამაშა და გადამწყვეტი სამქულიანი სროლა ორმოცაძემ შეასრულა და...

გამარჯვებულთაგან 19 ქულით ბომბარდირი რეჯინალდ მერფი გახდა, 16 ქულა და 9 მოხსნა დააგროვა ორმოცაძემ. ბათუმელთაგან 19 ქულით სტეპანიშინი გამოირჩა, აკაკი დვალიშვილმა კი შეხვედრა 14 ქულითა და 16 მოხსნით დაასრულა.

**აკადემია – ქუთაისი 70:76 (ოტ)**

**(8:21; 14:10; 21:17; 23:18; 4:10)**

დრამატული ფინალით დასრულებული მატჩი აქაც ოვერტაიმში გადაიზარდა. ძირითადი დრო 66:66 დასრულდა.

მატჩი ისე დაიწყო, ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, თუკი დამატებითი დრო დაინიშნებოდა. ცხრილის თავში მოტრიალე ქუთაისმა შეხვედრა სანაქებოდ დაიწყო და ჯერ 23:8 იგებდა, შემდეგ – 29:14. იმერული კლუბი სიტუაციას აკონტროლებდა და დამაჯერებლად ლიდერობდა, მაგრამ დიდი შესვენების შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

აკადემიელებმა მეთოდურად იწყეს ვითარების გამოსწორება და ჩამორჩენას ნაბიჯ-ნაბიჯ ამცირებდნენ. დიდი შესვენებისთვის სხვაობამ 9 ქულა შეადგინა, მესამე პერიოდის ბოლოს კი ქუთაისელთა ლიდერობა 5 ქულამდე შეიკვეცა.

ბოლო პერიოდში ანგარიშიც გათანაბრდა და ბოლო წუთებზე გვარიანი მოულოდნელობაც მოხდა. ქუთაისელმა გიორგი ბარბაქაძემ გარღვევა შედეგიანად დააგვირგვინა და ძირითადი დროის დასრულებამდე 25 წამით ადრე ქუთაისი 6 ქულით – 66:59 დააწინაურა. თითქოს ყველაფერი აქ გადაწყდა, თუმცა ვლადიმერ კრისევიჩის ორქულიანმა, რომელსაც საჯარიმოც მოჰყვა, აკადემიელებს შანსი გაუჩინა.

აკადემიელებმა დაცვა გაამაგრეს, თუმცა დაჯარიმების გარეშე თავი ვერ დაიცვეს და ზაურ ფაშაევი სირენამდე 19 წამით ადრე საჯარიმოს ხაზზე დადგა. აზერბაიჯანელმა ლეგიონერმა ორივე სროლა ააცილა და 3 ქულით ჩამორჩენილი აკადემია შეტევაზე გადავიდა, მაგრამ თბილისელებს სამქულიანით ანგარიში რომ არ გაეთანაბრებინათ, ქუთაისელებმა ჯარიმა აიღეს და დასრულებამდე 15 წამით ადრე იოსებ ლეჟავამ აკადემიელთა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა – 64:65.

დარჩენილ დროში გელა წულაძის გაწვრთნილმა აკადემიელებმა ტაქტიკური ჯარიმა აიღეს, რამაც გაამართლა: დავით ბარბაქაძემ მხოლოდ 1 საჯარიმო ჩააგდო და 2 ქულის გასაბათილებლად მასპინძლებს 12 წამი დარჩათ.

მართალია, მატჩის დასრულებამდე 4 წამით ადრე სტეპანიშინმა ორქულიანი ააცილა, თუმცა ბურთს მისი თანაგუნდელის, მორის ბრიგსის ხელი მისწვდა და კალათში ჩააბრუნა – 66:66. მეტიც, დარჩენილ 4 წამში აკადემიელებს თამაშის მოგებაც შეეძლოთ, როდესაც თემურ ბაბუნაშვილმა უხეიროდ შემოიტანა ბურთი, მაგრამ იმავე ბრიგსმა პერიმეტრიდან ააცილა.

ოვერტაიმში კი ბრძოლა არ შედგა. ქუთაისმა შეცდომები აღარ დაუშვა და ცხრილის ბოლოადგილოსანთან გაჭირვებით, თუმცა მაინც გაიმარჯვა – 76:70.

**დინამო – რუსთავი 86:75**

**(26:15; 20:12; 17:21; 23:16)**

ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ეს მატჩიც დაძაბული ფინალით უნდა დასრულებულიყო, თუმცა ასე არ მოხდა. დინამომ შესანიშნავად ჩაატარა დასკვნითი წუთები და შეხვედრა ისე დასრულდა, ვითარება არ დაძაბულა.

საკვანძო სამქულიანი ჩააგდო დინამოელთა ნომინალურმა ცენტრმა გიორგი შარაბიძემ, რომელმაც შეხვედრის დასრულებამდე წუთ-ნახევრით ადრე შორი სროლით თავისიანები 8 ქულით დააწინაურა და შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. შარაბიძე მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახლდათ, რომელმაც თითქმის შეუცვლელად ითამაშა და შეხვედრა 31 ქულითა და 14 მოხსნით დაასრულა. მის კვალზე 16 ქულა დააგროვა გრიგოლ შვანგირაძემ, ხოლო ამერიკელი მაკალპის ანგარიშზე 14 ქულა დაგროვდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 10 | 7 | 3 | 762:714 | 17 |
| 2.სოხუმი | 10 | 6 | 4 | 767:696 | 16 |
| 3.ბათუმი | 9 | 6 | 3 | 680:635 | 15 |
| 4.ოლიმპი | 9 | 5 | 4 | 632:623 | 14 |
| 5.დინამო | 9 | 5 | 4 | 613:616 | 14 |
| 6.მგზავრები | 9 | 4 | 5 | 646:675 | 13 |
| 7.რუსთავი | 9 | 3 | 6 | 672:709 | 12 |
| 8.აკადემია | 9 | 1 | 8 | 625:729 | 10 |

# შედეგები

## 12 დეკემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნორვიჩი-ევერტონი ........ 1:1
კრ.პალასი-საუთჰემპტონი ........ 1:0
სიტი-სუონსი ........ 2:1
სანდერლენდი-უოტფორდი ........ 0:1
ვესტ ჰემი-სტოკი ........ 0:0
ბორნმუთი-მანჩესტერი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 16 | 10 | 2 | 4 | 32-17 | 32 |
| 2.ლესტერი | 15 | 9 | 5 | 1 | 32-21 | 32 |
| 3.არსენალი | 15 | 9 | 3 | 3 | 27-13 | 30 |
| 4.მანჩესტერი | 16 | 8 | 5 | 3 | 21-12 | 29 |
| 5.ტოტენჰემი | 15 | 6 | 8 | 1 | 25-12 | 26 |
| 6.კრ.პალასი | 16 | 8 | 2 | 6 | 21-15 | 26 |
| 7.უოტფორდი | 16 | 7 | 4 | 5 | 18-16 | 25 |
| 8.ვესტ ჰემი | 16 | 6 | 6 | 4 | 25-21 | 24 |
| 9.ევერტონი | 16 | 5 | 8 | 3 | 29-21 | 23 |
| 10.ლივერპული | 15 | 6 | 5 | 4 | 18-17 | 23 |
| 11.სტოკი | 16 | 6 | 5 | 5 | 13-14 | 23 |
| 12.საუთჰემპტონი | 16 | 5 | 6 | 5 | 21-19 | 21 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 15 | 5 | 4 | 6 | 14-19 | 19 |
| 14.ბორნმუთი | 16 | 4 | 4 | 8 | 20-31 | 16 |
| 15.ჩელსი | 15 | 4 | 3 | 8 | 17-24 | 15 |
| 16.სუონსი | 16 | 3 | 5 | 8 | 15-24 | 14 |
| 17.ნორვიჩი | 16 | 3 | 5 | 8 | 18-28 | 14 |
| 18.ნიუკასლი | 15 | 3 | 4 | 8 | 16-30 | 13 |
| 19.სანდერლენდი | 16 | 3 | 3 | 10 | 17-30 | 12 |
| 20.ასტონ ვილა | 15 | 1 | 3 | 11 | 13-28 | 6 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

მილტონი-იფსვიჩი ........ 0:1
კარდიფი-უენსდი ........ 2:2
ჩარლტონი-ლიდსი ........ 0:0
დერბი-ბრაიტონი ........ 2:2
ფულემი-ბრენტფორდი ........ 2:2
ჰადერსფილდი-ბრისტოლი ........ 1:2
ჰალი-ბოლტონი ........ 1:0
მიდლსბრო-ბირმინგემი ........ 0:0
პრესტონი-რედინგი ........ 1:0
ქპრ-ბარნლი ........ 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბარსელონა-დეპორტივო ........ 2:2
სელტა-ესპანიოლი ........ 1:0
ლევანტე-გრანადა ........ 1:2
სევილია-ხიხონი ........ 2:0
ლას პალმასი-ბეტისი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 15 | 11 | 2 | 2 | 36-15 | 35 |
| 2.ატლეტიკო | 14 | 10 | 2 | 2 | 20-6 | 32 |
| 3.რეალი | 14 | 9 | 3 | 2 | 32-12 | 30 |
| 4.სელტა | 15 | 8 | 4 | 3 | 26-22 | 28 |
| 5.ვილიარეალი | 14 | 7 | 3 | 4 | 18-15 | 24 |
| 6.დეპორტივო | 15 | 5 | 8 | 2 | 23-16 | 23 |
| 7.სევილია | 15 | 6 | 4 | 5 | 21-19 | 22 |
| 8.ბილბაო | 14 | 6 | 3 | 5 | 21-16 | 21 |
| 9.ვალენსია | 14 | 5 | 5 | 4 | 18-11 | 20 |
| 10.ეიბარი | 14 | 5 | 5 | 4 | 18-16 | 20 |
| 11.ბეტისი | 15 | 5 | 4 | 6 | 13-19 | 19 |
| 12.ესპანიოლი | 15 | 5 | 2 | 8 | 15-26 | 17 |
| 13.სოსიედადი | 15 | 4 | 4 | 7 | 17-20 | 16 |
| 14.ხეტაფე | 15 | 4 | 3 | 8 | 16-24 | 15 |
| 15.ხიხონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15-23 | 15 |
| 16.გრანადა | 15 | 3 | 5 | 7 | 17-25 | 14 |
| 17.რაიო | 14 | 4 | 2 | 8 | 15-25 | 14 |
| 18.ლას პალმასი | 15 | 3 | 4 | 8 | 12-22 | 13 |
| 19.მალაგა | 14 | 2 | 5 | 7 | 7-13 | 11 |
| 20.ლევანტე | 15 | 2 | 5 | 8 | 12-27 | 11 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალავესი-ალკორკონი ........ 1:1
კორდობა-ლიაგოსტერა ........ 2:0
ხირონა-ელჩე ........ 0:1
ლუგო-პონფერადინა ........ 3:1
ტენერიფე-მალიორკა ........ 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ინგოლშტადტი ........ 2:0
ვოლფსბურგი-ჰამბურგი ........ 1:1
ვერდერი-კიოლნი ........ 1:1
ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი ........ 1:0
დარმშტადტი-ჰერტა ........ 0:4
ლევერკუზენი-გლადბახი ........ 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 16 | 14 | 1 | 1 | 45-8 | 43 |
| 2.დორტმუნდი | 15 | 11 | 2 | 2 | 42-20 | 35 |
| 3.ჰერტა | 16 | 9 | 2 | 5 | 24-18 | 29 |
| 4.ვოლფსბურგი | 16 | 7 | 5 | 4 | 25-18 | 26 |
| 5.გლადბახი | 16 | 8 | 2 | 6 | 31-28 | 26 |
| 6.ლევერკუზენი | 16 | 7 | 3 | 6 | 24-20 | 24 |
| 7.მაინცი | 16 | 7 | 3 | 6 | 23-21 | 24 |
| 8.შალკე | 15 | 7 | 3 | 5 | 21-21 | 24 |
| 9.ჰამბურგი | 16 | 6 | 4 | 6 | 19-22 | 22 |
| 10.კიოლნი | 16 | 5 | 6 | 5 | 16-20 | 21 |
| 11.ინგოლშტადტი | 16 | 5 | 5 | 6 | 11-17 | 20 |
| 12.დარმშტადტი | 16 | 4 | 6 | 6 | 15-23 | 18 |
| 13.ვერდერი | 16 | 4 | 3 | 9 | 16-30 | 15 |
| 14.აინტრახტი | 15 | 3 | 5 | 7 | 18-23 | 14 |
| 15.ჰანოვერი | 16 | 4 | 2 | 10 | 18-28 | 14 |
| 16.აუგსბურგი | 15 | 3 | 4 | 8 | 18-25 | 13 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 16 | 2 | 7 | 7 | 17-24 | 13 |
| 18.შტუტგარტი | 16 | 3 | 3 | 10 | 19-36 | 12 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფორტუნა-უნიონი ........ 0:3
კარლსრუე-ფიურტი ........ 1:0

**იტალია. სერია ა**

ჯენოა-ბოლონია ........ 0:1
პალერმო-ფროზინონე ........ 4:1
უდინეზე-ინტერი ........ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 16 | 11 | 3 | 2 | 22-9 | 36 |
| 2.ფიორენტინა | 15 | 10 | 2 | 3 | 30-12 | 32 |
| 3.ნაპოლი | 15 | 9 | 4 | 2 | 28-12 | 31 |
| 4.რომა | 15 | 8 | 4 | 3 | 30-18 | 28 |
| 5.იუვენტუსი | 15 | 8 | 3 | 4 | 22-11 | 27 |
| 6.სასუოლო | 15 | 7 | 5 | 3 | 19-14 | 26 |
| 7.ატალანტა | 15 | 7 | 3 | 5 | 18-15 | 24 |
| 8.მილანი | 15 | 7 | 3 | 5 | 19-18 | 24 |
| 9.ტორინო | 15 | 6 | 4 | 5 | 21-19 | 22 |
| 10.ემპოლი | 15 | 6 | 3 | 6 | 17-20 | 21 |
| 11.კიევო | 15 | 5 | 4 | 6 | 20-16 | 19 |
| 12.ბოლონია | 16 | 6 | 1 | 9 | 17-21 | 19 |
| 13.ლაციო | 15 | 6 | 1 | 8 | 17-24 | 19 |
| 14.პალერმო | 16 | 5 | 3 | 8 | 17-24 | 18 |
| 15.უდინეზე | 15 | 5 | 3 | 7 | 14-20 | 18 |
| 16.სამპდორია | 15 | 4 | 4 | 7 | 21-25 | 16 |
| 17.ჯენოა | 16 | 4 | 4 | 8 | 15-21 | 16 |
| 18.ფროზინონე | 16 | 4 | 2 | 10 | 15-30 | 14 |
| 19.კარპი | 15 | 2 | 4 | 9 | 13-27 | 10 |
| 20.ვერონა | 15 | 0 | 6 | 9 | 10-25 | 6 |

**იტალია. სერია ა**

აველინო-ლანჩანო ........ 3:2
ლივორნო-კალიარი ........ 1:1
პესკარა-ენტელა ........ 2:0
პრო ვერჩელი-ჩეზენა ........ 2:0
სალერნიტანა-ასკოლი ........ 2:0
სპეცია-ლატინა ........ 2:1
ტერნანა-კომო ........ 4:0
ვიჩენცა-ბრეშა ........ 1:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რეიმსი-ნიცა ........ 1:1
ლილი-ლორიანი ........ 3:0
მონპელიე-გენგამი ........ 2:1
ნანტი-ტულუზა ........ 1:1
ტრუა-ბასტია ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 17 | 14 | 3 | 0 | 40:8 | 45 |
| 2.ანჟე | 17 | 8 | 6 | 3 | 16:9 | 30 |
| 3.კაენი | 18 | 9 | 3 | 6 | 21:19 | 30 |
| 4.მონაკო | 17 | 7 | 7 | 3 | 24:23 | 28 |
| 5.ნიცა | 18 | 7 | 5 | 6 | 31:23 | 26 |
| 6.ლიონი | 17 | 7 | 5 | 5 | 21:16 | 26 |
| 7.სტ.ეტიენი | 17 | 8 | 2 | 7 | 21:21 | 26 |
| 8.ლორიანი | 18 | 6 | 7 | 5 | 27:26 | 25 |
| 9.რენი | 18 | 5 | 9 | 4 | 23:21 | 24 |
| 10.მარსელი | 17 | 6 | 5 | 6 | 26:19 | 23 |
| 11.ლილი | 18 | 5 | 8 | 5 | 14:12 | 23 |
| 12.ნანტი | 18 | 6 | 5 | 7 | 14:17 | 23 |
| 13.მონპელიე | 18 | 6 | 4 | 8 | 22:24 | 22 |
| 14.რეიმსი | 18 | 5 | 6 | 7 | 19:22 | 21 |
| 15.ბორდო | 17 | 5 | 6 | 6 | 21:26 | 21 |
| 16.გაზელეკი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:20 | 20 |
| 17.ბასტია | 18 | 5 | 4 | 9 | 18:24 | 19 |
| 18.გენგამი | 18 | 5 | 4 | 9 | 17:25 | 19 |
| 19.ტულუზა | 18 | 3 | 7 | 8 | 20:32 | 16 |
| 20.ტრუა | 18 | 0 | 7 | 11 | 10:35 | 7 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

დენ ჰააგი-ტილბურგი ........ 1:1
კამბური-ნაიმეგენი ........ 3:1
პსვ-როდა ........ 1:1
ტვენტე-გრააფსხაპი ........ 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-აროუკა ........ 3:1
ფერეირა-მადეირა ........ 6:0
გიმარაეში-მარიტიმუ ........ 3:4
სეტუბალი-ბენფიკა ........ 2:4

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

აბერდინი-ჰართსი ........ 1:0
დ.იუნაიტედი-პარტიკი ........ 0:1
ჰამილტონი-როსი ........ 1:3
ინვერნესი-კილმანროკი ........ 2:1
მოზერველი-დანდი ........ 3:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-ალტახი ........ 1:2
ადმირა-მატერსბურგი ........ 1:1
რიდი-ვოლფსბერგერი ........ 1:0
შტურმი-გროდიგი ........ 2:0

**ბელგია. პრო ლიგა**

შარლერუა-ლეუვენი ........ 2:1
მეხელენი-ლოკერენი ........ 1:1
ვარეგემი-ბევერენი ........ 2:1
კორტრაიკი-მუსკრონი ........ 1:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ირაკლისი-პანთრათიკოსი ........ 0:0
პლატანიასი-იანინა ........ 0:1
პანიონიოსი-აეკი ........ 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ქონია ........ 2:1
ესკიშეჰირი-გაზიანთები ........ 1:2
ანთალია-მერსინი ........ 3:2
რიზე-ტრაბზონი ........ 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-პოდბესკიჟე ........ 2:0
**პოგონის ორივე გოლი ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა**
გურნიკი-ტერმალიცა ........ 0:0
გდანსკი-ვისლა ........ 2:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის განკურნება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# თბილისის დინამო ზამთრის ჩემპიონია

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**საბურთალო – ტორპედო 4:4**

**თბილისი. ბენდელა**

0:1 შინდაგორიძე (11), 1:1 ხარაიშვილი (17), 2:1 კოხრეიძე (23), 2:2 კუხიანიძე (28), 2:3 შინდაგორიძე (43), 3:3 გვარაძე (68), 4:3 კოხრეიძე (78), 4:4 სიჭინავა (80)

**საბურთალო:** სანიკიძე, თოთაძე, სოფრომაძე, მარგველაშვილი, ბიძინაშვილი (ელვინ ტერა 55), კოხრეიძე, გვარაძე, ხარაიშვილი, ალთუნაშვილი, საბანაძე (ფანცულაია 46, რუხაძე 89), გოშთელიანი

**ტორპედო:** ხაინდრავა, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, კირკიტაძე (სიჭინავა 67), კუხიანიძე, შინდაგორიძე, კლიმიაშვილი, ნიკონოვი, ქიმაძე, კვერნაძე (ბაბუნაშვილი 46), ფურცხვანიძე (ბრეგვაძე 46)



იშვიათი სანახაობის მატჩი შედგა ბენდელაზე. ტრიბუნებზე შეკრებილმა საკმაო რაოდენობის გულშემატკივარმა რვა გოლი იხილა. მსგავსი შედეგიანობის მატჩები თითზე ჩამოსათვლელადაა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად საფეხბურთო სამყაროში. არადა, რამდენჯერმე მეკარეებს რომ არ ეყოჩაღათ, დიდი იყო იმის ალბათობა, რომ გოლების რიცხვი კიდევ გაზრდილიყო.

ვიდრე 11-ე წუთზე სტუმრები ანგარიშს გახსნიდნენ, მანამდე მასპინძლებს ორჯერ მართებდათ გატანა – ჯერ ნიკოლოზ საბანაძეს, შემდეგ გურამ გოშთელიანს, მაგრამ ისე მოხდა, რომ პირველი გოლი საბურთალოს კარში აღმოჩნდა. რიონისპირელებმა სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს, რომელიც ლაშა შინდაგორიძემ შედეგიანი დარტყმა დაასრულა – 0:1.

ზუსტად სამ წუთში გიორგი კოხრეიძემ საბანაძეს გენიალური პასი გაუკეთა და მეკარეს ფაქტობრივად პირისპირ შეატოვა, მაგრამ ამ უკანასკნელს გოლკიპერმა აჯობა. მე-17 წუთზე კი გიორგი ხარაიშვილმა საფირმო ჯარიმა შეასრულა და ტარიელ ხაინდრავა უშანსოდ დატოვა – 1:1.

ისე მოხდა, რომ ტაიმის შუაში უკვე დედაქალაქელები დაწინაურდნენ – გიორგი კოხრეიძემ ლაშა თოთაძის პასის შემდეგ იხეირა და ანგარიში 2:1 გახადა. სტუმრებმა მალევე გაათანაბრეს – 28-ე წუთზე გიორგი კუხიანიძემ მეკარეს შეცდომა არ აპატია და ოდნავ წინ გამოსულ ლუკა სანიკიძეს ბურთი თავზე თითქმის ცენტრალური ხაზიდან გადაუგდო – 2:2.

რამდენიმე წუთში თბილისელებს კვლავ შეეძლოთ წინ გასვლა, როდესაც ხარაიშვილმა დიდოსტატური პასი გაუკეთა გურამ გოშთელიანს, ფორვარდს კი კვლავ მეკარე ხაინდრავამ არ გაატანინა. 37-ე წუთზე უკვე სტუმარ დავით კირკიტაძეს ჰქონდა გოლის გატანის რეალური შანსი, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი მცირედით ასცდა მიზანს. ისე მოხდა, რომ ტაიმი ტორპედოელებმა მოიგეს – 43-ე წუთზე შინდაგორიძე საჯარიმოში კარგად გაერკვა და დუბლი მიითვალა.

მეორე ტაიმი პირველზე არანაკლებ თვალსასეირო გამოდგა. საბურთალო გათანაბრებას ცდილობდა და იერიშებსაც ახორციელებდა, მაგრამ კარგა ხანს მოწინააღმდეგე დაცვით რგოლში მედგრად იდგა. 68-ე წუთზე მეტოქე გუნდის საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, საბოლოოდ კი ბექა გვარაძემ იყოჩაღა და ანგარიში 3:3 გახადა.

78-ე წუთზე კოხრეიძემ იშვიათი სილამაზის გოლი გაიტანა და თავისიანები კიდევ ერთხელ გაიყვანა წინ. მასპინძლებს სიხარული არ აცალეს და ორ წუთში დათა სიჭინავას ჯარიმიდან დარტყმული ბურთი კარში აღმოჩნდა. ლუკა სანიკიძეს მოგერიება მართებდა.

მატჩის მიწურულისკენ მასპინძლებს მაინც შეეძლოთ გამარჯვება – ფლანგური ჩაწოდების შემდეგ გოშთელიანმა ბურთს თავი ვერ დაუხვედრა, არადა, გოლი გარდუვალი იყო. საბოლოოდ მატჩი 4:4 დასრულდა.

მატჩს დაესწრნენ ჰოლან-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ასტროპროგნოზი
## 14 დეკემბრისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა. ახალ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. მზად იყავით მნიშვნელოვანი ცვლილებებისათვის. უფროსობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა. **კურო** – თქვენი მატერიალური მდგომარეობა გაურკვეველია. მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი ხარჯები, თუმცა ძალიან მალე კარგ შემოსავალს მიიღებთ. **ტყუპები** – იზრუნეთ სულიერებაზე. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს დღეს ბედი სწყალობთ. ნუ გარისკავთ. პირველ შთაბეჭდილებას არ ენდოთ. **კირჩხიბი** – ეცადეთ, გრძნობა გონებას დაუმორჩილოთ. შეინარჩუნეთ ბუნებრიობა. თავი გაინებივრეთ. **ლომი** – შანსი გეძლევათ, გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა. ცვლილებები უკეთესობისკენ მოხდება. შეგიძლიათ, თამამად გარისკოთ. **ქალწული** – პირველ შთაბეჭდილებას არ ენდოთ. ნუ დაწვრილმანდებით. იზრუნეთ სულიერებაზე. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს დღეს ბედი სწყალობთ. ნუ გარისკავთ. **სასწორი** – თქვენი შემოქმედებითი შესაძლებლობები იზრდება. გაიფართოვეთ ცოდნის არეალი. თავმდაბლად იმუშავეთ. წარმატებას მიაღწევთ, თუ პრაგმატულად იაზროვნებთ. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში სასიხარულო ცვლილება გელით, ამავე დროს, არამყარი კავშირები ავტომატურად გაწყდება. დაკისრებულ მოვალეობას პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. **მშვილდოსანი** – თქვენი შრომა, საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომა სასურველ შედეგს გამოიღებს. თვითგამოხატვის უნარი იზრდება. **თხის რქა** – ნოსტალგია გეძალებათ. ძველ მეგობრებთან შეხვედრა სასიამოვნო წუთებს გაგახსენებთ. ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. **მერწყული** – გარშემომყოფებს თქვენი სითბო უშურველად გაუნაწილეთ. ეცადეთ, ირგვლივ მშვიდი და სტაბილური ადამიანები შემოიკრიბოთ კეთილისმყოფელი დღეა ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად. **თევზები** – კარგი პერიოდი უდგათ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს. გირჩევთ, დღეს სიახლეებს თავი აარიდოთ და მუშაობისას ძველი, ჩვეული მეთოდები გამოიყენოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ავსტრალიაში ჰოვერბორდების მოხმარების წესები შემოიღეს

ავსტრალიაში კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის კომისიამ სამახსოვრო გამოუშვა ჰოვერბორდების ამჟამინდელი და მომავალი მფლობელებისთვის. ის კომისიის სამმართველო ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.



კომისია მომხმარებლებს მოუწოდებს, არ აჰყვნენ წინასადღესასწაულო ფუსფუსს და არ დაავიწყდეთ, რომ მოწყობილობის გამოყენებამდე მისი ექსპლუატაციის ინსტრუქციას გულდასმით გაეცნონ. ჰოვერბორდების მფლობელებისთვის სავალდებულოა ატარონ მუზარადი, მუხლსაფარები, იდაყვსაფარები და სხვა დამცავი საშუალებები მოწყობილობით სეირნობის დროს.

კომისია ყველას ახსენებს, რომ ჰოვერბორდის მართვის წესები ქვეყნის სხვადასხვა შტატში განსხვავებულია და ამიტომ მათ ადგილობრივ პოლიციას მიმართონ მათში გასარკვევად.

– ჰოვერბორდის გაკონტროლება მხოლოდ წონასწორობის დაცვითაა შესაძლებელი. ამიტომ, ჩამოვარდნის ალბათობა საკმაოდ დიდია. თქვენ შეიძლება მიიღოთ ისეთი ტრავმები, როგორიცაა, მოტეხილობა, ამოვარდნა, ჭრილობა, ჩალურჯებები, ზურგის ტრავმა, ქალა-ტვინის დაზიანება და ტვინის შერყევა, – ნათქვამია სამახსოვროში.

# ცუკერბერგმა შვილის პირველი ფოტოსურათი გამოაქვეყნა

სოციალური ქსელის ფეისბუქის დამაარსებელმა მარკ ცუკერბერგმა თავისი ახლადდაბადებული გოგონას მაქსის პირველი ფოტოსურათები გამოაქვეყნა, რომელზეც ის მასთან ერთადაა დაფიქსირებული.



ფოტოსურათს ბიზნესმენმა გაუკეთა კომენტარი: „პატარა მაქსთან ერთად სიხარულით ვივსებით“.

ამ მომენტისთვის ცუკერბერგისა და მისი ახალშობილი გოგონას ფოტოსურათმა თითქმის სამი მილიონი მოწონება მიიღო.

ცუკერბერგსა და მის მეუღლეს პრისცილა ჩანს გოგონა 2 დეკემბერს შეეძინათ. მშობლებმა მისთვის დაწერეს წერილი, რომელშიც აღწერეს, თუ როგორი სამყაროს ხილვა სურთ, რომელშიც მათი შვილი გაიზრდება.

ცუკერბერგმა თავის დიდი ხნის მეგობარ გოგონა ჩანზე 2012 წლის 19 მაისს იქორწინა. მათ ერთმანეთი ჰარვარდში გაიცნეს. მარკი ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, ხოლო პრისცილა სამედიცინოზე.

ფეისბუქის დამაარსებლის და სოციალური ქსელის აქციების 56 პროცენტის მფლობელის ქონება 19 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

# ამერიკელი სტუდენტ გოგონებს საცვლებს ინსტაგრამის დახმარებით ჰპარავდა

ამერიკის ქალაქ ფულერტონის (კალიფორნიის შტატი) პოლიციამ არტურო გალვანი დააპატიმრა, რომელიც ადგილობრივი კოლეჯის სტუდენტების საცხოვრებელში იპარებოდა და მათ ნივთებსა და საცვლებს იპარავდა.



სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, 44 წლის გალვანი გოგონების საცხოვრებელი ადგილის დასადგენად ინსტაგრამში მათ პუბლიკაციებს იყენებდა.

ჩხრეკის ორდერის მიღების შემდეგ პოლიციელებმა ეჭვმიტანილის სახლის ავტოფარეხი გაჩხრიკეს და 24 სტუდენტი გოგონასთვის მოპარული ნივთები აღმოაჩინეს, მათ შორის ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათები, ბიუსჰალტერები, ტრუსები, აიპადის პლანშეტები, ტელევიზორები და კომპიუტერები.

კალიფორნიელს ძარცვაში, სხვისი ქონების ხელყოფასა და დევნაში დასდეს ბრალი. დაპატიმრებული არტურო გალვანი 200 ათასი დოლარის გირაოს სახით გადახდის შემდეგ გაათავისუფლდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# იუმორი



●●●

ცოლმა ახალი კაბა ჩაიცვა და ქმარს ეკითხება:

– აბა, როგორ გამოვიყურები?

– ცოტა თავი მომაბეზრე, თორემ ისე არა გიშავს!

●●●

ხუთი წლის გოგონა მამას ეუბნება:

– მამიკო, ათი ლარი მომეცი და გეტყვი, ვის სძინავს დედიკოსთან, როდესაც შენ სახლში არა ხარ.

– აჰა, აიღე და აბა მითხარი, ვის?!

– მე!

●●●

მამაკაცი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, იქნებ მირჩიოთ, რა მოვუხერხო რწყილებს?

– რა, ავად გახდნენ?

●●●

მაღაზიის დაკეტვამდე რამდენიმე წუთით ადრე მოხუცი ქალი შედის და გამყიდველს ეუბნება:

– ქათამი გაქვთ?

– გვაქვს, – უპასუხა გამყიდველმა, მაცივრიდან ერთადერთი გაყინული ქათამი გამოიღო და აუწონა.

– ერთი კილოგრამია.

– უფრო დიდი არ გაქვთ?

გამყიდველმა ქათამი ისევ მაცივარში შედო, შემდეგ გამოიღო, სასწორზე დადო, თითი მიახმარა და კილო-ნახევარი გამოიყვანა.

– ძალიან კარგი, – ეუბნება მოხუცი ქალი, – ორივე გამიხვიეთ.

●●●

მოხუცი ცოლ-ქმარი სადილობს. ქალი პირს აწკლაპუნებს. კაცმა ითმინა, ითმინა, ბოლოს ველარ მოითმინა, კოვზი თავში ჩასცხო და ეუბნება:

– პირს ნუ აწკლაპუნებ!

ქალმა უხმოდ გააგრძელა ჭამა. ქმარმა უყურა, უყურა, მერე აიღო კოვზი და ისევ თავში ჩასცხო.

– ხომ აღარ ვაწკლაპუნებ და ახლა რიღასთვის?

– რომ მახსენდება, როგორ აწკლაპუნებდი, მაცოფებს და იმისთვის!!!

●●●

ქერათმიან გოგონას ეკითხებიან:

– რამდენი ასოა ანბანში?

– ექვსი.

– ექვსი? რომლები?

– ა, ნ, ბ, ა, ნ, ი.

●●●

ქმარი საბავშვო ბაღიდან შვილის გამოსაყვანად წავიდა და სახლში ორი საათის შემდეგ დაბრუნდა. ბავშვს ჩუპა-ჩუპსი უჭირავს ხელში, ხოლო ქმარს – პროდუქტებით სავსე ჩანთა. ცოლი ეკითხება:

– სად იყავი ამდენ ხანს, რატომ დააგვიანე?

ბავშვი მამის მაგივრად პასუხობს:

– დედიკო, იქ ვიყავით, სადაც დეიდა მამას უფულოდ არაფერს აძლევს.

– ნამუსს ვფიცავარ, მაღაზიაში ვიყავით, – პასუხობს ქმარი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სკანვორდი



1. აზრი; 2. სარწყავი არხი; 3. ერთიანები კამათლებზე; 4. მავნებელი მწერი; 5. წერილობითი თხოვნა ხელისუფლებისადმი; 6. ორგანიზმში წამლის შპრიცით შეყვანა; 7. .. იოსელიანი; 8. ღამის პეპელა; 9. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 10. ღმერთების დედა ინდუიზმში; 11. აჩრდილი; 12. გივი ბერიკაშვილის სცენური სახე; 13. სატანვარჯიშო იარაღი; 14. ... ფარულავა; 15. მთავარი სისხლძარღვი; 16. ჭია; 17. მაუგლის მეგობარი გველი; 18. ომისშემდგომი ნადავლი; 19. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე; 20. პორტუგალიური ღვინო; 21. საზეიმო წვეულება; 22. სითბოს მოყვარული ხე; 23. „კვირის ...“ 24. ტყის ვაშლი; 25. პატარა ლირიკული არია; 26. ... ნასტასე; 27. ... მაკფერსონი; 28. საიდუმლო რელიგიური რიტუალი; 29. ამერიკულ-კანადური სამეჯლისო ცეკვა; 30. ...სტრიპი; 31. „... პარი; 32. კანტორა; 33. ბილიარდის ჯოხი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მომა; 2. ბრიჯი; 3. წვიმა; 5. ტეხური; 6. ლაშარელა; 9. ულტიმატუმი; 10. ჰართფილდი; 11. იაკიტორია; 14. ლია; 16. აპლიკე; 18. ბივა.

**თარაზულად:** 1. მუმბაი; 4. ნატამალი; 7. რიბერი; 8. მორთული; 12. სტელა; 13. ალკალა; 15. მთიები; 17. ეტა; 19. ბურგომისტრი; 20. ჯინსი; 21. საუნჯე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყორე; 2. ჩელსი; 3. ტრიუკი; 5. კუსტო; 6. დიფუზორი; 8. ბუნდესტაგი; 10. ატლანტა; 12. ტანდემი; 14. ოკრიბა; 15. საცივი; 16. ლიანა.

**თარაზულად:** 1. ყაყაჩო; 4. აკოლადა; 7. შულერი; 9. კამორა; 11. კნესეტი; 12. ტალავარი; 13. ხამონი; 17. საკურა; 18. რაჭა; 19. ხმელნიცკი; 20. დინამიტი.

# დავით ჭოჭუა საკუთარ აბაზანაში გარდაიცვალა

33 წლის ასაკში ქართველი მოაზროვნე, ინტელექტუალური კლუბის „რა? სად? როდის?“ წევრი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი დავით ჭოჭუა გულის შეტევით გარდაიცვალა.

ის საკუთარ სახლში, აბაზანაში იპოვეს გარდაცვლილი.

– ურეკავდნენ, მაგრამ არ პასუხობდა. საბოლოოდ, კარის შემტვრევა გახდა საჭირო. გარდაცვალების მომენტში ის აბაზანაში იმყოფებოდა, – უთხრა ოჯახის ახლობელმა ამბები გე-ს.

დავით ჭოჭუა საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე სამი წლის განმავლობაში მუშაობდა. ის სხვადასხვა პერიოდში იყო პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის მოადგილე, პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის პროექტის ანალიტიკოსი ეუთოს გენერალური სამდივნოს ანტიტერორისტულ განყოფილებაში, ჰქონდა არასამთავრობო სექტორში მუშაობის გამოცდილება, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში.




დავით ჭოჭუას გარდაცვალებას ფეისბუქში ასე გამოეხმაურა მისი მეუღლე ნინო საღინაძე:

– ჩემი დათო გარდაიცვალა. მასთან ერთად ჩემი გულიც მოკვდა... ჩემი გული და სული ხარ... ყველაფერს დავთმობ, ოღონდ კიდევ გაკოცო.

დათო სულ ოთხი თვის დაქორწინებული იყო. მას ორსული მეუღლე დარჩა.

– სულ რამდენიმე თვით შემოხვედი, დათო, ჩვენს ცხოვრებაში და შენი წასვლით უზომო ტკივილი დაგვიტოვე. ღმერთო, რატომ, რატომ არ გაიხარე შენი ოჯახით და რატომ არ დაელოდე პატარას, რომელიც მხოლოდ სხვებისგან შეიტყობს, რა ჭკვიანი და ლამაზი მამიკო ჰყავდა.

ნინი, დეი, გამაგრდი და იცოდე, ის პატარა, რომელიც შენშია, სასახელო მამის სასახელო შვილი იქნება. ნათელში იყოს შენი სული, დათო, – წერს სოციალურ ქსელში დათო ჭოჭუას მეუღლის ნათესავი ნინო ჭანტურია.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასეთი განცხადება გაავრცელა:

– ჩვენი უსაყვარლესი მეგობარი დათო ჭოჭუა აღარ არის ჩვენთან. ძალიან დაგვამძიმა ცნობამ მისი გარდაცვალების შესახებ. გამორჩეული ადამიანი, კეთილშობილი, ერთგული, უაღრესად ნიჭიერი. ყველას დაგვაკლდება – მის კოლეგებს, მეგობრებს, უამრავ სტუდენტს. ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო, ჩვენ დავკარგეთ კიდევ ერთი პატრიოტი, რომელიც ძალიან ბევრ კარგ საქმეს აკეთებდა თავისი ქვეყნისთვის. ნათელში იყოს მისი სული. ჩვენი ფიქრები დათოსთანაა.

ინტელექტუალური კლუბის „რა? სად? როდის?“ ხელმძღვანელი გიორგი მოსიძე დავით ჭოჭუას გარდაცვალებას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:

– მადლობა, დათო, იმ 17 წლისთვის, ჩვენთან ერთად ინტელექტკლუბში რომ გაატარე! ყოველთვის გამორჩეული იყავი და ასეთად დარჩები ჩვენს ხსოვნაში...

დავით ჭოჭუა ასე შეაფასა მოაზროვნე სერგო კაპანაძემ:

– ძალიან ნიჭიერი კი არ იყო, გენიოსი იყო. სამშობლო ძალიან უყვარდა და ყველაზე სწორი ღირებულებები გააჩნდა. ტიპური განმანათლებელი იყო. სულ მხიარული, მზრუნველი და პოზიტიური. უზომოდ ნაკითხი და ფენომენალური მეხსიერების მქონე.

25 წლიდან ლექციებს კითხულობდა და უსაფრთხოების, ტერორიზმის, საგარეო პოლიტიკის, ევროკავშირისა და ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობების მისნაირი მცოდნე მე არ შემხვედრია. სხვაგან რომ დაბადებულიყო, ჰარვარდის ან ოქსფორდის პროფესორი იქნებოდა, მერე, ალბათ – საგარეო საქმეთა მინისტრი ან პრემიერ- მინისტრი.

ჩვეულებრივი გენიოსი იყო. როცა გაზეთ „24 საათში“ ერთად ვმუშაობდით, ერთხელ ხუთი ჟურნალისტი და თარჯიმანი ჩაანაცვლა ერთი დღით და ნომერი მაინც გამოვიდა. ხუთი ადამიანის საქმე ისე შეითავსა, თითქოს კონვეიერი იყო.

როცა ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი გახდა საგარეოში, ყველამ ვიცოდით, რომ ეს მისი დიდი და წარმატებული კარიერის მხოლოდ დასაწყისი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ყველა მწარედ ვცდებოდით. ინგლისური იცოდა მათზე უკეთ, ვისი მშობლიური ენაც ინგლისურია. როცა ახალ სიტყვას გაიგებდა, უხაროდა.

ჟამსას მოცალეობისას ფენტეზის ჟანრის რომანი დაწერა! უაღრესად ღრმა და საინტერესო. ზოგი მხოლოდ ფენტეზის ერთ რომანს ანდომებს მთელ სიცოცხლეს. ის კი პარალელურად წარმატებული დიპლომატი და 4 უნივერსიტეტის ლექტორი იყო.

და მხოლოდ 33 წლის იყო!

ჩემს უახლოეს მეგობარზე, დათო ჭოჭუაზე ვამბობ.

რამდენიმე თვის წინ მისი მეჯვარე ვიყავი. ახლა კი ის აღარ არის. მისი გენიალურობა კი იმაშია, რომ ამ პატარა ბიჭმა ყველა მისი ნაცნობი აატირა და ყველას დასწყვიტა გული.

ნათელში იყავი იმ სამყაროში, მეგობარო!

დავით ჭოჭუას ბავშვობის მეგობარი, დრამატურგი დავით გაბუნია მას ასე იხსენებს:

– დამუნჯებული ვარ. დათოს ბაღის ასაკიდან ვიცნობდი, ფოთში ყველა იცნობდა, მანდედანვე ვუნდერკინდი იყო და ყოველთვის მისაბაძ მაგალითად გვისახავდნენ ჩვენ, მის თანატოლებს. მერეც, სკოლის მოსწავლეობისას, სრულებით გასაშტერებელი მიღწევები ჰქონდა ყოველთვის. აღარ ვიცი, რა ვთქვა, არც დეტალები ვიცი, რა დაემართა. დღეს გავიგე მისი გარდაცვალების ამბავი. საშინელი შეგრძნებაა, როცა შენი თანატოლი კვდება, თანატოლი, რომელსაც შორიდან თუ ახლოდან სულ შენატროდი, ნეტავ მეც ასეთი ჭკვიანი ვიყოო.

# ია ნინიძე ალექსანდრეს ბებია გახდა

რუსეთში მოღვაწე ქართველი მსახიობი ია ნინიძე ბებია გახდა. მისმა გოგონამ ნინო ნინიძემ პირველი შვილი გააჩინა. ახალშობილის მამა რუსი მსახიობი კირილ პლეტნევია. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. პატარას მშობლებმა ალექსანდრე დაარქვეს.



ნინო და კირილი ერთმანეთს ნიკიტა მიხალკოვის პროექტში შეხვდნენ. მან უჩვეულო პროექტი „კინომატარებელი“ განახორციელა. პროექტში მიწვეულ მონაწილეებს შორის აღმოჩნდა ია ნინიძე. მან თავისი გოგონაც თან წაიყვანა. ამავე პროექტში მონაწილეობდა კირილ პლეტნევი. მსახიობმა შანსი არ გაუშვა ხელიდან და იას გოგონა გაიცნო. წყვილის ახლობლები ამბობენ, რომ პროექტის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები უკვე წყვილის სტატუსით სარგებლობდნენ და სულ უფრო მეტ დროს ატარებდნენ ერთად.

კირილ პლეტნევისთვის ალექსანდრე მესამე შვილია. მას წინა ქორწინებაში მსახიობ ლიდია მილუზინასთან ორი შვილი უკვე ჰყავს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

სპორტი

# თბილისის დინამო ზამთრის ჩემპიონია

დასაწყისი მე-10 გვერდზე

დიური ვიტესის წარმომადგენლები – სკაუტი ტეო იანსენი და მისი თანაშემწე.

ჰოლანდიელები გიორგი ხარაიშვილით არიან დაინტერესებულნი.

**შუქურა – დინამო (თბ) 1:3**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

0:1 ქვილითაია (33) 1:1 ჩელებაძე (71) 1:2 გურული (83) 1:3 ჯიღაური (90)

**შუქურა:** ჯიოევი, კომახიძე (ლობჯანიძე 55), ბრაჭული, ჭეიშვილი, გეგეჭკორი, შარიქაძე, თარხნიშვილი, დოლიძე, ჩალაძე, ჩელებაძე, ურიდია (კერძევაძე 76)

**დინამო:** ჰრდლიჩკა, კაკაბაძე, რენე, გველესიანი, გურული, ცინცაძე, პარუნაშვილი, ჯიღაური, ჯანელიძე (ჭელიძე 88), იაშვილი (ლობჟანიძე 65), ქვილითაია (არაბული 84)

მატჩი ორივე გუნდმა შეხვედრა აქტიურად დაიწყო. ტაიმის შუაში გიორგი გურულმა და გრიგოლ დოლიძემ სახიფათო დარტყმები გაცვალეს. მომდევნო შეტევაში კი ლაშა ჩალაძის ძლიერად დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა თბილისელთა კარს. ცოტა ხანში ალექსანდრე იაშვილი საჯარიმოს მისადგომებიდან გზავნიდა ბურთს, მაგრამ მისი დარტყმულიც არაზუსტი გამოდგა.

33-ე წუთზე კი თბილისელებმა სწრაფი შეტევით გახსნეს ანგარიში. ჯაბა ჯიღაური შეიჭრა შუქურას საჯარიმოში, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ბურთს ზღვისპირელები გადდაელობნენ, ხოლო დამატებაზე გიორგი ქვილითაიამ ითამაშა ზუსტად. ტაიმის ბოლოსკენ შუქურას მცველთა შეცდომით გურულს შექმნა კარგი მომენტი, თუმცა დინამოელთა მცველმა ვერ ისარგებლა ამ სიტუაციით.

მეორე ტაიმი ათი წუთის დაწყებული იყო, გიორგი ქვილითაიას დარტყმული მასპინძელთა კარის ხარიხამ რომ მოიგერია. მომდევნო შეტევაში კი ისევ ქვილითაია ამწვავებდა სიტუაციას, მისი ახლო მანძილიდან თავით დარტყმული აზამატ ჯიოევმა მოიგერია. ხარიხამ 68-ე წუთზე კიდევ ერთხელ გადაარჩინა მასპინძელთა კარი, როდესაც რენემ საბა ლობჟანიძის ჩაწოდებულ ბურთს შეაგება თავი, შემდეგ კი ქვილითაიამ მოარტყა ბურთი ძელს.

71-ე წუთზე მასპინძლებმა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. შუქურას შეტევა გიორგი ჩელებაძემ დააგვირგვინა. მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ჩელებაძემ და ქვილითაიამ სახიფათო დარტყმები გაცვალეს, ორივე შემთხვევაში მეკარეებმა ივარგეს.

დინამოს მხსნელად გურული მოევლინა, რომელმაც საბა ლობჟანიძის მიერ ჩაწოდებული ბურთი გადაგზავნა კარში.

წუთზე ჯაბა ჯიღაურმა რენეს გამჭოლი გადაცემის შემდეგ მიიღო ბურთი საჯარიმოს მისადგომთან ახლოს, ძლიერად და ზუსტად გაისროლა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

თბილისელებმა ამ მოგებით 40 ქულა დააგროვეს და ზამთრის შესვენებას სატურნირო ცხრილში პირველი ადგილით შეეგებნენ.

**გურია – კოლხეთი 1:1**

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**

1:0 წილოსანი (4), 1:1 კვარაცხელია (70)

**ლოკომოტივი – ცხინვალი 0:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1 მაისაშვილი (50)

**გაძევება:** კაკუბავა (88 ცხინვალი)

**სიონი – სამტრედია 0:2**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

0:1 სიხარულიძე (22), 0:2 ზივზივაძე (28)

**გაძევება:** თებიძე (36 სამტრედია)

**მერანი – დინამო (ბთ) 0:4**

**მარტვილი. მურთაზ ხურცილავა**

0:1 ქორიძე (39), 0:2 ფონიავა (58), 0:3 გოგიტიძე (60), 0:4 ბერიაშვილი (89)

**ზუგდიდი – დილა 1-1**

**ზუგდიდი. ბაიას ბაზა**

1:0 ნარმანია (3), 1:1 მოდებაძე (77)

**გაძევება:** ქარქუზაშვილი (72 დილა), წურწუმია (90 ზუგდიდი)

**საპოვნელა – ჩიხურა 0:2**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

0:1 მუმლაძე (73), 0:2 კორიფაძე (90)

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 15 | 13 | 1 | 1 | 43-13 | 40 |
| 2.დილა | 15 | 11 | 2 | 2 | 30-12 | 35 |
| 3.ცხინვალი | 15 | 10 | 2 | 3 | 33-18 | 32 |
| 4.სიონი | 15 | 9 | 2 | 4 | 31-19 | 29 |
| 5.სამტრედია | 15 | 9 | 1 | 5 | 32-19 | 28 |
| 6.ჩიხურა | 15 | 8 | 2 | 5 | 22-12 | 26 |
| 7.დინამო (ბთ) | 15 | 7 | 5 | 3 | 27-15 | 26 |
| 8.შუქურა | 15 | 6 | 3 | 6 | 17-16 | 21 |
| 9.საბურთალო | 15 | 6 | 2 | 7 | 23-27 | 20 |
| 10.ტორპედო | 15 | 5 | 5 | 5 | 25-26 | 20 |
| 11.კოლხეთი | 15 | 5 | 3 | 7 | 13-19 | 18 |
| 12.ლოკომოტივი | 15 | 4 | 2 | 9 | 17-22 | 14 |
| 13.გურია | 15 | 2 | 4 | 9 | 12-29 | 10 |
| 14.საპოვნელა | 15 | 2 | 2 | 11 | 10-36 | 8 |
| 15.ზუგდიდი | 15 | 1 | 5 | 9 | 12-34 | 8 |
| 16.მერანი | 15 | 1 | 1 | 13 | 10-40 | 4 |

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# TV პროგრამა

## ორშაბათი, 14 დეკემბერი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" – **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "ისპაჰანის სამეფო მეჩეთი" **14.05** მხ/ფ "**დიასახლისი**" (გ.ჰოუნი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **22.00** "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **23.00** "კომუნიკატორი" **00.10** მხ/ფ "**კოტონ მერი**" **02.10** თოქ–შოუ "რეალური სივრცე"

**08.00** დოკ/ფ "მესამე ხანა" **09.00** მხ/ფ "**ბიჭუნა წყალზე**" **10.30** დოკ/ფ "ავსტრალია" **11.00** ქართ. მხ/ფ "**რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე**" **12.30** დოკ/ფ ათენი" **13.00** დოკ/ფ " ააშენე უფრო დიდი" **14.00** " ეპიცენტრი" **15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **17.00** " პოლიტალტერნატივა" **19.00** " თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **23.00** " ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**რჩეული**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** მხ/ფ "**გატაცებული**" (ჯ.ლუკასი) **00.00** მხ/ფ "**იპოვე ჭეშმარიტება**" (ლ.ლოჰანი) **02.25** მხ/ფ "**სიმამაცის კანონი**" (რ.სანჩესი)

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** ნიჭიერი (პირდაპირი) **00.00** სპორტ ტაიმი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი-"მადლმოსილი მვდელმთავარი" **06.45** ქართული ალბომი **07.10** დ/ფ "ვახტანგ დიდი გორგასალი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" II **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ასპარაგუს" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** სპექტაკლი "ასერგასის დღე" **17.30** საქართველოს დაცული ტერიტორიები-თუშეთის დაცული ტერიტორია **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მე ვხედავ მზეს**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო ალმშენებლობა **22.25** დ/ფ **22.45** საქართველოს სამართლის ისტორია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** საუკუნის პორტრეტები-ავლიპ ზურაბაშვილი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "თრონი" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუჩები და გულები**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 1.00** სერ. "**ტატიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** "პულსი" **16.05** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **17.05, 2.20** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ნადირობა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** სერ. "**მუნოსავი-1**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ქიმიური ელემენტი; 7. ძველი, ძველებური; 8. მეგრული საჭმელი; 10. გუთნის ნაწილი; 12. წვრილი ღვედი; 13. ინგლისური ვერცხლის ფული; 14. მაღალხარისხოვანი თხის ტყავი; 18. „თეთრი ოქრო“; 20. აღლუმი; 23. ხელოვნების დარგი; 24. პატარა იალქნიანი გემი; 25. აზერბაიჯანული „მწვადი“; 26. წყლის გასაშვებ-ჩამკეტი მოწყობილობა; 27. რისამე ზუსტი ნიმუში.

**შვეულად:** 1. უეცარი ელდა; 2. ფხიანი თევზი; 3. ქათმის ხმიანობა; 4. საგნის დასაცავად მის ფორმაზე შეკერილი ჩამოსაცმელი ქსოვილი; 6. ცხენის, სახედრის ასაკიდი ტვირთი; 9. აზელილი კარტოფილი; 11. სიბრტყის პერპენდიკულარული სწორი ხაზი; 15. ამერიკელთა მკვიდრი მოსახლეობის საერთო სახელი; 16. ფიცრის დასაკეცი ფანჯრის საფარი; 17. ჭრილობის მონარჩენი ზოლი სხეულზე; 19. კეთილსურნელება; 21. აგურის ფორმით დაპრესილი რაიმე მასალა; 22. რბილის საპირისპირო.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



# მიგ® 400 იბუპროფენი

## ...და ტკივილი სწრაფად ქრება










განსაკუთრებული შემადგენლობის წყალობით
**ტაბლეტი 2 წუთში იხსნება**
და სწრაფად გათავისუფლებთ ტკივილისაგან






BERLIN-CHEMIE MENARINI

მიგ® 400 მიიღება 6 წლიდან!

თბილისი 0160, გამრეკელის 19; ტელ: 224 13 70/71/72;
ფაქსი: 224 12 10; ელ-ფოსტა: geobc@wanex.net

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

MIG01.2013